# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 ოქტომბერი, 2010 წელი.

№193 (6559)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ხელისუფლებისგან პასუხს ელიან...

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ გვიად ყუშიტაშვილმა როგორ აიღო 14 ოქტომბერს თავისი ჭკუით პრეზიდენტის რეზიდენცია, საკრებულო, პარლამენტი და ყველა მსგავსი მნიშვნელობის შენობა ②



## ...მას კი რას ვერჩით? ③

## „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, ხაინდრავას კი – არც მოსკოვისა და არც ვაშინგტონის



## რაც ყველას გვაღელვებს ④

## ყველაფერი განსაკუთრებული — ბავშვებს... ⑤

შიმშილი, კუთხეში ცალ ფეხზე დგომა...



## ოპერაცია „პრემიერი“ ⑧



## იქნებ მოხდეს სასწაული და გაირღვეს მანკიერი წრე?

*ერთ დროს საქართველოში იმდენი ხორბალი მოგვყავდა, რომ მისი მოსავალი მთლიანად შიდა ბაზარსაც სწვდებოდა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანადაც რჩებოდა, სადღეისოდ ადგილობრივი წარმოება შიდა მოთხოვნას, უკეთეს შემთხვევაში 15 პროცენტით თუ აკმაყოფილებს, დანარჩენი კი შემოგვაქვს.*

ნომრის კარიკატურა



პრემიერის ქვეშ მოქცეული პრეზიდენტი

გუშინდელი ფოსტიდან

# ტალახში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონიათ,

**ანუ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ ზვიად ყუშიტაშვილმა როგორ აიღო 14 ოქტომბერს თავისი ჭკუით პრეზიდენტის რეზიდენცია, საკრებულო, პარლამენტი და ყველა მსგავსი მნიშვნელობის შენობა**

**მართალი გითხრათ, ქვეყანაში არეულობა არ მიყვარს, ისედაც კარგა გვარიანად არეულ-დარეულები ვართ, მაგრამ ნამდვილად მოლოდინი გამიჩინა და, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა კიდეც გაზეთ „საქართველოსა და მსოფლიოს“ 29 სექტემბრის ნომრის ფურცლებზე ინტერვიუმ „ქართველი ემიგრანტების“ თავმჯდომარესთან ზვიად ყუშიტაშვილთან, რომელმაც ახალგაზრდა ჟურნალისტ ჯაბა ჟვანიასთან (ადრე თქვენი გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობდი ხოლმე მის მასალებს) პირდაპირ განაცხადა, ჩვენ მოვითხოვთ თითოეული ჩვენგანის — ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვასო, ელემენტარულ ყურადღებასო, თუმცა ეს არ არის მთავარი მოთხოვნა, ჩვენი უპირველესი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა და თოთხმეტში სწორედ იმისთვის ვიკრიბებით რეზიდენციასთან, რომ სააკაშვილს წავუყენოთ ულტიმატუმი — გადადგეს და, საერთოდ, დატოვოს ეს ქვეყანაო...**

არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ხელისუფლებამ შეიძლება ძალა გამოიყენოს, დაგვარბიოს და სისხლიც დაღვაროს, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, არ გვეშინია და უკან არ დავიხევთო. ჩვენ საკმარისი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ვიბრძოლოთ ბოლომდე, გვყავს ჩვენი რწმუნებულები თითქმის ყველა რეგიონში, სოფელში და თითოეული მათგანი დაუღალავად მუშაობს ხალხის დასარაზმავადო.

მაშ, მოუთმენლად დაველოდებით 14 ოქტომბერს, თუ მანამდე „ნაცმოძრაობამ“ რამე ისეთი ზომები არ მიიღო, რაც აქციის გამართვაში ხელს შეგიშლითო — უთხრა გახარებულმა კორესპონდენტმა, რომელსაც უთუოდ ისიც ახარებდა, რომ, ყველა სხვა კორესპონდენტისგან განსხვავებით, ის პირველი იქნებოდა, ვისმა რესპოდენტმაც ბოლო მოუღო სააკაშვილის რეჟიმს.

ეს ნამდვილად მოსალოდნელია და მინდა მივმართო ხელისუფლებასო, ამაყად უპასუხა ზვიად ყუშიტაშვილმა და განაგრძო: არ გაბედონ აქციის ჩაშლაო, თორემ ეს იქნება ამ ხელისუფლების აღსასრულიო, ასევე მინდა, ვურჩიო სააკაშვილს, რომ თუ თავი ძალიან არ მოსძულებია, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნა და დაუყოვნებლივ გადადგესო, ეს არის ჩვენი ულტიმატუმი, რომელსაც არ შევცვლითო...

— თუ არ გადადგება, რას იზამთო? — კორესპოდენტმა.

რას ჰქვია, რას ვიზამთო, გაბრაზდა ზვიადი. რას ვიზამთ და 14-ში, როცა მას ულტიმატუმს წავუყენებთ, ერთი საათის განმავლობაში გადადგომის შესახებ განცხადებას თუ არ დაწერს (რაშიც ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით დარწმუნებული ვარძ, ავიღებთ რეზიდენციას, საკრებულოს, პარლამენტს და ყველა მსგავსი მნიშვნელობის ობიექტს... გასაგებია, რომ ამას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ ყველაფრისთვის მზად ვართო.



— რასაც თქვენ ამბობთ, ამას ხელისუფლების დამხობა ჰქვია. რას ეტყვით ხალხს, რომელიც 14 ოქტომბერს უნდა გამოგყვეთო, — ისევ კორესპონდენტმა.

ერთადერთ რამესო, ისევ გაბრაზდა ზვიად ყუშიტაშვილი. სანამ ეს ქვეყანა საბოლოოდ დაგვიკარგავს, სანამ დავღუპულვართ და გადავშენებულვართ, გავერთიანდეთ და მოვიშოროთ ეს მოღალატე ხელისუფლებაო. ჩვენ, ხალხს, ნამდვილად გვაქვს ამის ძალაო. თუ არადა, როგორც გითხარით, მალე აღარაფერი დარჩება საქართველოსგან, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ მიწა, ტერიტორია უქართველებოდ, სადაც მუდმივად სააკაშვილები, მერაბიშვილები, თარგამაძეები და ადეიშვილები ითარეშებენო.

ერთი სიტყვით, რაც 252 პოლიტიკურმა პარტიამ და მოძრაობამ ვერ ქნა, ქართველმა ემიგრანტებმა იკისრეს და მარტო მე კი არა, მთელ თავმობეზრებულ საქართველოს გაუჩინეს იმედი, რომ, 14 ოქტომბერს ემიგრანტთა ძალისხმევით და სვეტიცხოვლობის მადლით შეძრწუნებული სააკაშვილი ან მადლობას გადაუხდიდა ხალხს მოთმინებისთვის ანდა ბოდიშს მოუხდიდა რამდენიმე ათეული დაპირების შეუსრულებლობისათვის, და თუ არ გაიქცეოდა, ჩუმად მაინც გაიპარებოდა. მაგრამ ნურას უკაცრავად!

სააკაშვილი რომ იუმორთან მწყრალად არ არის, ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, ერთხელ კიდევ გამოჩნდა: სპეციალურად მივიდა მცხეთის სალობიეში და ასევე სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა მელობიეები, რითაც, ჩემი აზრით, საქვეყნოდ გაუსვა ხაზი, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია — „ქართველი ემიგრანტები“ თქვენი თავმჯდომარიანად ლობიოები ხართო. არადა, სწორედ სალობიეში პრეზიდენტის სტუმრობის დროს გაჩნდა „რუსთავი-2“-ის ეკრანზე მორბენალი სტრიქონი: „ქართველ ემიგრანტთა“ აქცია უიმედოდ ჩაიშალაო.

ცხონებული ჯაბა იოსელიანისა არ იყოს, ზვიად ყუშიტაშვილს პოლიტიკა, როგორც ჩანს, ნამდვილად ლობიოობა ჰგონებია...

ყუშიტაშვილი კი არადა, მგონი, მთელი ჩვენი ოპოზიციაც ამ დღეშია...

**ღვთისო უძილაური,**
**ქ. მცხეთა.**

ვინ — ვის?

# ხელისუფლებისგან პასუხს ელიან...

**ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მრავალი განცხადება გაკეთდა. უკმაყოფილო პარტიები სხვადასხვაგვარად გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას, ერთი ნაწილი კონსულტაციებს მართავს სხვა პარტიებთან, მეორე ნაწილი კი მხოლოდ საჯარო განცხადებებით შემოიფარგლება.**




განსხვავებული შეხედულებების მქონე რვა ოპოზიციურმა პარტიამ ამ საკითხში გაერთიანება მოახერხა და ერთობლივი, სამთვიანი მსჯელობის შემდეგ საარჩევნო გარემოს შესაცვლელად „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებიც მოამზადა. ამ საკითხთან დაკავშირებით, რვა ოპოზიციური პარტიის: ეროვნული ფორუმის, საქართველოს კონსერვატიული პარტიის, „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის, „საქართველოს გზის“, „ახალი მემარჯვენეების“, „ხალხის პარტიის“, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერებმა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და დიპლომატიურ კორპუსთან კონსულტაციები გაიარეს. პარალელურად კი ეროვნული ფორუმის იდეოლოგიური მდივანი გუბაზ სანიკიძე მოსახლეობასთან დაუზარებლად დადის ქალაქის ერთი გარეუბნიდან მეორეში და დღეში რამდენიმე შეხვედრას მართავს დედაქალაქის მოსახლეობასთან. შეხვედრის მთავარი მიზანია საზოგადოებას გააცნონ ეროვნული ფორუმის უახლესი გეგმები, მათ შორის საარჩევნო გარემოს — გაუმჯობესების მიზნით პარლამენტში შესული ინიციატივა. იდეის ავტორმა — ეროვნულმა ფორუმმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით საქართველოს მასშტაბით 130 000 ხელმოწერა შეაგროვა, საიდანაც დიდი ნაწილი სწორედ თბილისზე მოდის. გუბაზ სანიკიძის თქმით, აუცილებელია, რომ აღნიშნულ ინიციატივას დედაქალაქის მოსახლეობის გაცილებით დიდმა ნაწილმა გამოუცხადოს მხარდაჭერა, რათა საზოგადოებამ აიძულოს ხელისუფლება, შეცვალოს საარჩევნო გარემო.

„ეროვნული ფორუმის“ ლიდერის კახა შარტავას განცხადებით, „ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, გაექცეს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების პროცესის დაწყებას. ამიტომ ვცდილობთ, ყველა მექანიზმი გამოვიყენოთ, რათა ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესის ცვლილება მშვიდობიან ფორმებში განხორციელდეს.

ხელისუფლების მხრიდან უარის თქმა ამ შემოთავაზებაზე, რომელიც უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის მხარდაჭერილი და რეკომენდირებული, ნიშნავს უარის თქმას სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე. ამ კვირის ბოლომდე ველოდებით პოლიტიკური პოზიციის დამაფიქსირებელ მკაფიო პასუხს, თუ არ მივიღებთ, ეს იმას ნიშნავს , რომ პოლიტიკური პროცესი იშლება, ვინაიდან რაც უფრო გვიან იწყება დისკუსია, მით უფრო მოკლდება ის პერიოდი, როცა პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ცხადია ამ პროცესში ჩართვა და პოლიტიკური ნების გამოხატვა რთულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაყალბების მექანიზმი დაითმოს და მივიღოთ ის პირობები, რაც სამართლიან გარემოს უზრუნველყოფს. ეს კი ხაზს უსვამს და აშკარას ხდის არჩევნების წინა გაყალბებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს არალეგიტიმურ ხელისუფლებასთან, — დასძინა შარტავამ.

მისი თქმით, თუ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარს არ დაუჭერს, საპროტესტო აქციებს გამართავენ.

**თინათინ ბორცვაძე**

უპასუხებენ

# საამური აზრები პრეზიდენტისთვის

**ა. წ. 2 სექტემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი „ვინ არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე საზიზღარი მოღალატე?“ მასში წამოყენებულია წინადადება, რომ პრესის საშუალებით ჩაგვეტარებინა მკითხველის გამოკითხვა საქართველოს ყველა დროის №1 მოღალატის გამოსავლენად. პუბლიკაციაში დასახელებულია ის პიროვნებაც, ვისაც, გამოკითხვის შედეგად, ხალხი, ავტორის ვარაუდით, ამგვარ პიროვნებად დაასახელებდა.**

ჩემს პუბლიკაციას გამოეხმაურა პროფ. დურმიშხან ცინცაძე („სრ“ 5 ოქტომბერი). იგი სვამს შეკითხვას: „ვის აძლევს ხელს, რომ დღევანდელ სიტუაციაში მოვჩხრიკოთ ჩვენი ქვეყნის ყველა დროის მოღალატე? რას მოგვცემს ეს? ან რა სიკეთეს მოიტანს? მე მგონი, არაფერს“. შემდეგ ოპონენტი აცხადებს, რომ თუ ამგვარ გამოკითხვას ჩავატარებთ, ყველა მეზობელი ხალხი დაგვცინებს.

ვერ გავიზიარებ დ. ცინცაძის აზრს. საქართველოს ისტორიაში დასაცინი არაფერია. მე აღვნიშნე, რომ საქართველოს ისტორია საოცრად ღარიბია მოღალატეებით და საოცრად მდიდარი გმირებით. თუ ოპონენტი ამ აზრს არ იზიარებს, მან, პროფესიით ისტორიკოსმა, ჩამოთვალოს მოღალატეები საქართველოს ისტორიიდან. და მკითხველი დარწმუნდება, რომ ძნელად მოიძებნება ამქვეყნად მოღალატეებით ჩვენებრ ღარიბი ისტორიის მქონე მეორე ერი.

დ. ცინცაძე განაგრძობს: „რას შესძენს ეს დღეს ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას?“ „ჩემი აზრით, ცუდის გარდა არაფერს?“

აქ უნდა „გავამხილო“, რომ ჩემს წერილში საქართველოს ყველა დროის №1 მოღალატედ დასახელებულია მ. სააკაშვილი. ასეთია ავტორის პირადი აზრი. ამ აზრის დასაბუთება მრავალ პუბლიკაციაში მაქვს მოტანილი. ჩემი დაკვირვებით, ხალხის დიდი უმრავლესობა იზიარებს ამ აზრს. მაშ, რატომ უნდა ვმალოთ სიმართლე? მეზობელი ხალხები სწორედ იმას დაგვცინიან, რომ შვიდი წელია სააკაშვილი გვყავს პრეზიდენტად და ახლა სამუდამოდ ხელმწიფობასაც გვიპირებს. ქართველები კი ამას უდრტვინველად ვიტანთ. ის მაინც განვაცხადოთ საქვეყნოდ, რომ სააკაშვილი არ არის ჩვენი ხალხის რჩეული, რომ იგი პრეზიდენტი კი არა, უცხოეთიდან თავსმოხვეული უზურპატორია! სწორედ ამის განცხადება იქნებოდა ჩემგან შემოთავაზებული გამოკითხვის ჩატარება.

დ. ცინცაძე ჩემს მიერ გამოთქმულ წინადადებას უწოდებს „საჩოთირო საქმეს“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „საჩოთირო“ განმარტებულია როგორც „თვალთმაქცობა. პატიოსანი ადამიანისთვის შეუფერებელი საქციელი“.

როგორც ვხედავთ, ოპონენტი პირად შეურაცხყოფასაც მაყენებს. თუმცა არცკი ცდილობს, დაასაბუთოს, რა არის ჩემს საქციელში პატიოსანი ადამიანისთვის შეუფერებელი, რაში გამოიხატება ჩემი თვალთმაქცობა. მე კი აქვე ვუჩვენებ, რომ საჩოთირო მისი საქციელია. აი, მაგალითები. იგი წერს: „თუკი წერილის ავტორს სურდა, ამ საჭოჭმანო საკითხის როგორმე გარკვევა, დასმულ კითხვაზე პასუხი თავად არ უნდა გაეცა, თავი შეეკავებინა“. მკითხველს შევახსენებ, რომ მე საქართველოს №1 მოღალატედ სააკაშვილი დავასახელე, ანუ დ. ცინცაძე ამის წინააღმდეგ აცხადებს პროტესტს, სააკაშვილი არ უნდა დაგესახელებინაო.

კიდევ მაგალითი: ოპონენტი ამასაც აცხადებს: „ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სიტუაციას ისტორია მომავალში სათანადოდ განსჯის და შეაფასებს“. ე. ი. დღეს ნუ განვსჯით და შევაფასებთ, ვაცალოთ სააკაშვილს მთელი სიცოცხლე ხელმწიფებაო. ვეკითხები ისტორიკოს დ. ცინცაძეს: ჩვენს წინაპრებს რომ ამგვარი დევიზით ეცხოვრათ, თავის დროზევე რომ არ დაერქვათ შავისთვის შავი და თეთრისთვის თეთრი, ეს საქმე რომ მომავალი თაობებისთვის გადაელოცათ, საერთოდ თუ ელირსებოდა საქართველო მომავალს? მოაღწევდა დღემდე?!

როგორც ვხედავთ, რეპლიკაში მ . სააკაშვილისთვის საამური აზრებია გამოთქმული.

**თეიმურაზ მირიანაშვილი**

სად ვცხოვრობთ

# რას ვერჩით ხელისუფლებას?

**გერმანიისთვის შოკის მომგვრელი იყო გერმანიის პრეზიდენტის ჰორსტ კიოლერის გადადგომა. ის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად იყო აღიარებული (არადა პროფესიონალი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა — ერთხანს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორის თანამდებობა ეკავა, შემდეგ იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი). გადადგომის მიზეზი გახდა ოპოზიციის მიერ მის მიმართ გამოთქმული ერთადერთი კრიტიკული ფრაზა.**

ავღანეთიდან დაბრუნების შემდეგ მან გულწრფელად განაცხადა, რომ ავღანეთში გერმანიის ჯარის ყოფნა აუცილებელია, რადგან გერმანიის ეკონომიკა ექსპორტზეა ორიენტირებული და დაინტერესებულია მსოფლიოში და მით უმეტეს ამ რეგიონში სავაჭრო გზების დაცვაზეო. ოპოზიციამ ბრალი დასდო — პრეზიდენტმა ჩვენი ჯარისკაცების ავღანეთში ყოფნა ქვეყნის შიდა ინტერესებს დაუკავშირაო. მან უსამართლოდ მიიჩნია ეს კრიტიკა და მაშინვე დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, რითაც ყველა გააოცა, მათ შორის მისი კრიტიკოსებიც — რა საჭირო იყო გადადგომა, როცა მას შეეძლო გამაბათილებელი პასუხი გაეცა და ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნებოდაო. მაგრამ პრეზიდენტმა თანამდებობა პირად ღირსებაზე მაღლა არ დააყენა და... წავიდა.

მაშასადამე ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ევროპელებისაგან. იქნებ აზიაში მოვძებნოთ ჩვენებურები? თვალი გადავავლოთ აზიას.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა იუკიო პატოიამისამ შარშან წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებს განუცხადა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისას აუცილებლად დააყენებდა კუნძულ ოკინავაზე ამერიკის სამხედრო ბაზის დახურვის საკითხს. მართლაც მან მაშინვე დასვა ეს საკითხი, მაგრამ მოლაპარაკებების დროს აღმოჩნდა, რომ ეს ჯერ ნაადრევი იყო, რასაც დაემატა მიმდინარე წლის მაისში კომუნისტური ჩრდილოეთ კორეის მიერ სამხრეთ კორეის ხომალდის ჩაძირვა. პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას მან ოფიციალურად განაცხადა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ამჟამად ამ ბაზის დახურვა მიზანშეუწონლად მიმაჩნიაო. ამ გამოსვლის მეორე დღეს მან დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, რადგან თავისი მიცემული სიტყვა არ შეასრულა — ეს საკითხი უფრო ღრმა შესწავლასა და რეალური ობიექტური პირობების გაანალიზებას მოითხოვდა, რაც მან წინასაარჩევნოდ ვერ გაითვალისწინა. ამიტომ შეუძლებლად მიიჩნია ასეთ მაღალ თანამდებობაზე ყოფნა. სულ რაღაც ორიოდე დღის წინათ ასევე თანამდებობიდან გადადგა სამხრეთ კორეის პრემიერ-მინისტრი. მიზეზი? არ ვარ ასეთი მაღალი თანამდებობის ღირსიო.

არადა, ჩვენთან ყველა პრეზიდენტობის ღირსად თვლის თავის თავს განურჩევლად ასაკისა, ცოდნისა, ღირსებისა თუ ზნეობისა. მაშასადამე, აზიელებიც აღარ ვყოფილვართ. ამერიკელებს ხომ საერთოდ ვერ შევედრებით, ჯერ მარტო ნიქსონის გადადგომის ამბავი რად ღირს?!

ნიუ-იორკის მერის არჩევნების დროს მილიარდერ მაიკლ ბლუმბერგის კონკურენტი იყო დემოკრატი ფერნანდეს ფარერი. ის ხაზს უსვამდა, ხალხის წრიდან ვარ გამოსულიო და თავის ოფიციალურ საიტზე განაცხადა, ბავშვობაში ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში ვსწავლობდიო (არადა სინამდვილეში კათოლიკური სკოლა ჰქონდა დამთავრებული). ბლუმბერგის მრჩევლებმა ეს „უზუსტობა“ გამოაქვეყნეს და შეიძლება ითქვას, რომ მან არჩევნები კი არ წააგო, ამომრჩევლებმა სულ კუდით ქვა ასროლინეს (ანუ ახლა თუ გვატყუილებს, მერე როგორღა დავუჯეროთო). ასევე დაისაჯა სრულიად „უმნიშვნელო“ სიცრუის გამო (ჩვენი გაგებით უმნიშვნელო) ნიუ-მექსიკის გუბერნატორი ბილ რიჩარდსონი, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პოსტს უწინასწარმეტყველებდნენ, იმდენად წარმატებული პოლიტიკოსი იყო. ის ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდობაში ბეისბოლის საკმაოდ კარგი მოთამაშე იყო და თვით პროფესიონალებისგან ჰქონდა მოწვევა. ჟურნალისტებმა გამოძიებს და აღმოჩნდა, რომ არც ერთი გუნდიდან არასოდეს ჰქონია მოწვევა. ამ უწყინარმა ტყუილმა მისი თითქმის ბრწყინვალე კარიერა შეიწირა, ანუ, სულ მცირე, არაამერიკელები ვართ.

ახლა გადავხედოთ აფრიკას. ტანზანიის პრემიერ მინისტრმა ედვარდ ლოვასიმ, რომელსაც ოპოზიცია ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის ინტერესების დაცვაში სდებდა ბრალს, დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ: რადგან ეს სკანდალი ჩემი პრემიერ მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს აგორდა, დაკავებული თანამდებობიდან ჩემს განთავისუფლებას ვთხოულობო, ანუ, ესეც აფრიკა!

არა, სულ ასე გარიყულებიც არა ვართ. ანგოლას ჰყავდა დედოფალი ნინგა მბანდე, რომელსაც ცოცხალი თავით არ ეთმობოდა დედოფლის ტახტი. დახმარებისათვის იმბანგლას ტყეში გავარდნილ ავაზაკთა რაზმი მოიხმო. იმათ დახმარების ფასად შემდეგი რიტუალის ჩატარება მოსთხოვეს: დედოფალმა ფილთაქვაში ჩვილი ბავშვი დანაყა და ასე და ამგვარად შეინარჩუნა ტახტი და ძალაუფლება.

და მაინც, რას ვერჩით ჩვენს ხელისუფლებას?! იგი ხომ გულხელდაკრეფილი არ ზის, არამედ ებრძვის კორუფციას და მექრთამეობას, მეტს რას ითხოვთ მისგან? რაას? მოდით, ჩავიხედოთ და ვნახოთ, როგორ განმარტავს კორუფციას ოქსფორდის ენციკლოპედია: კორუფცია, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს არჩევნების ფალსიფიცირებას, მეორე რიგში თანამდებობის პირთა მიერ არაკანონიერი გზით საკუთრების მოხვეჭას და მხოლოდ მესამე ადგილზე ქრთამის აღებას, ანუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ბრძოლას არჩევნების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს, ვინა ვართ, რანი ვართ, სად ვცხოვრობთ, რა დროში. გარეთ მესამე ათასწლეულია! ჯურღმულების ბინადარნიც აღარ ცხოვრობენ ჩვენებურად. როდემდის უნდა ვიაროთ ასე უკუღმართი გზით (და რაც ყველაზე მძიმეა, თან პირჯვრის წერით!?).

**მედეა თავდიშვილი**



ბანი

ილაპარაკეთ
ბანიდან ბანზე
წუთში

2

100 ლარამდე
ლიმიტიანი ნომრები
10 ლარად!

თეთრად

თუ გსურთ ტარიფის შეცვლა, ბანიდან
დარეკეთ ნომერზე 1010,
მოუსმინეთ ავტომოპასუხეს და მიჰყევით ინსტრუქციას.
ტარიფის შეცვლის საფასური 1 ლარი.

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
5151 - ბანიდან, 851 51 51 51 - ნებისმიერი სხვა ქსელიდან
www.bani.ge

ექსპერტთა აზრით

## გულისმოგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, თუ ქართული დიპლომატიის განცხადება

**რუსეთს სურს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში კეთილმოსურნედ გამოჩნდეს, ასევე სურს პერევში მდგარი რუსი სამხედროებისათვის განკუთვნილი თანხები დაზოგოს და ხვდება იმისაც, რომ იქ ყოფნას მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგული აქვს.**

**აცხადებს, პერევიდან საოკუპაციო ნაწილების გაყვანის შესახებ რუსეთის გადაწყვეტილების კომენტირებისას, ექსპერტი კახა გოგოლაშვილი.**

**— მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა პერევში კარგად გამაგრება მოახერხა. მის სამხედრო ყოფნასაც პრაქტიკულად არაფერი ემუქრება, ამიტომ პერევში საგუშაგოს ყოფნა მისთვის პრაქტიკულად კარგავს სტრატეგიულ მნიშვნელობას, — აცხადებს ექსპერტი.**



**მისივე თქმით, რუსეთი ცდილობს გარკვეულწილად მოიგოს დასავლეთის გული.**

**რაც შეეხება კავკასიის საკითხებში ექსპერტს, მამუკა არეშიძეს, მან განაცხადა, რომ რუსეთის გადაწყვეტილება, პერევიდან ჯარის გაყვანის შესახებ, ქართველი დიპლომატების დიდი დამსახურებაა.**

**— მე ვიწინასწარმეტყველე, რომ პერევიდან რუსები ჯარს გაიყვანდნენ. ეს ქართველი დიპლომატების დამსახურებაა. თუმცა მოსახლეობისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან მათი სახნავ-სათესი ტერიტორიები ოსების მხარეს რჩება. აქ არის მეორე ტექნიკური მხარეც. პერევმა რუსეთისთვის მნიშვნელობა დაკარგა, — განაცხადა არეშიძემ.**

**რუსეთი ალბათ იტყვის, რომ ეს კეთილი ნების ჟესტი იყო და იყო პირველი და უკანასკნელი, მაგრამ ალბათ ეს იქნება დასაწყისი. ასეთ აზრს გამოთქვამს პერევიდან რუსული საოკუპაციო ჯარის გაყვანის შესახებ, ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე.**

**მისივე თქმით, რუსეთის გადაწყვეტილება — „არის, რა თქმა უნდა, სერიოზული ზეწოლის შედეგი, რომელიც რუსეთზე დიდი ხანია მიმდინარეობს თითქმის ყველა დონეზე და ყველა ტრიბუნიდან“.**

**მისივე განმარტებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სერიოზული სამუშაო იქნება გაწეული ჩვენი მხრიდან და როგორი იქნება ჩვენი უცხოელი მეგობრების ზეწოლა რუსეთზე.**

## სეპარატისტებთან ხელშეკრულება არ გაფორმდება

**ოსი სეპარატისტები ქართველი დევნილების ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაბრუნების მთავარ პირობად კვლავ საქართველოსთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას ასახელებენ.**

**— დევნილთა უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნებისათვის მთავარი პირობა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაა. მზად ვართ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი პოზიცია გაეროს გენერალურ ასამბლეასაც ვაცნობოთ, — ნათქვამია ოსი სეპარატისტების მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.**

**— გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს მიერ გატანილმა ამ რეზოლუციამ თავისი არსით ეს ჰუმანიტარული პრობლემა მწვავე პოლიტიკურ პრობლემად გახადა, — ნათქვამია ოსური მხარის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ პრესკონფერენცია

# „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“, ხაინდრავას კი — არც მოსკოვისა და არც ვაშინგტონის

**„გლობალ TV-ის საკონფერენციო დარბაზში 13 ოქტომბერს ჩატარდა გოგა ხაინდრავას პრესკონფერენცია. მან პრესისა და ტელეჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. საუბარი ტრადიციულად შეეხებოდა ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მის გამომწვევ მიზეზებს, ჩიხური სიტუაციიდან გამოსვლის რესპონდენტისეულ ხედვას.**

ჩემი მხრივ, მცირე ლირიკული გადახვევის სახით, მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი გოგას „ხედვა“ შესამჩნევად მოკლებული იყო მისთვის დამახასიათებელ მგზნებარებას, რადიკალიზმს, თუ გნებავთ აგრესიულობასაც. ყოველი პასუხის ფორმულირებას აბსოლუტური სიმშვიდით დაბალ ტონში ახდენდა, თუმცა ზოგიერ-



თი პიროვნების ხსენებისას, მასში კვლავ „საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის“ კავალერს ვხედავდი.

— მადლობას მოგახსენებთ მოწვევისთვის, რაც ჩემთვის ფრიად მოულოდნელი იყო, — ასე დაიწყო საუბარი ბატონმა გოგამ.

პოლიტიკოსის მიერ გულით გაჟღერებულმა ფრაზამ, რომელშიც აქცენტი „მოულოდნელ მიწვევაზე“ კეთდებოდა (მაშინ, როდესაც ყოველი პოლიტიკოსი ამ ტიპის შეხვედრებზე „მუშაობს“), გარკვეულწილად დამძაბა, ხოლო ინტუიციამ შეუცდომლად დამანახა, თუ რა განწყობით აპირებდა „მოწვეული“ საუბრის წარმართვას და რამდენიმე წამში ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე გაცემულმა პასუხმა უფრო მეტად დამარწმუნა ჩემი „დასკვნის“ სისწორეში.

„საქართველოში პოლიტიკური პროცესი არ არსებობს. ის მოკლა მიხეილ სააკაშვილმა და ნაციონალურმა მოძრაობამ, მხოლოდ ხალხის გარკვეული ნაწილი იბრძვის... ისიც თვითგადარჩენისთვის. პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილები, კლასიკური გაგებით, როგორიცაა თავისუფალი პრესა, ტელევიზია და სხვა მრავალი კომპონენტი, მინიმუმამდეა დაყვანილი, და რაც არ არსებობს, იმის მონაწილე არამც და არამც არ შეიძლება ვიყო, მაგრამ ბრძოლას ამ ჭირის წინააღმდეგ ყოველთვის მხარს ავუბამ. მივესალმები ახალი მოძრაობების წამოწყებას, თუკი ისინი ქართულ საქმეს გააკეთებენ“.

პერიოდულად ბატონი გოგა მკვეთრად და შესამჩნევად გალიზიანებით უსვამდა ხაზს საკუთარ მოსაზრებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები არ არსებობენ, არის მხოლოდ გარკვეული ინტერესების მატარებელი ჯგუფები (თავისი ეს ხედვა არსებული პოლიტიკური სექტორის მიმართ, არასდროს გაუხმოვანებია ამ მომენტამდე, თუმცა თავად გახლდათ ერთის გამოკლებით ყველა ხელისუფლების არსებობის პირობებში მაღალი თანამდებობის პირი, ხოლო ოპოზიციაში გადასვლის შემდგომ მათ პარტიებად, ეროვნულ ძალებად და თანამოაზრეებად მოიხსენიებდა).

შექმნილი ვითარების მიზეზად კი ლოგიკურად დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას, საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ მრავალსაუკუნოვანი ინტერესების ანატომიასაც შეეხო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონალურ გეგმებთან იკვეთება და მის მიერ ხელდასხმულ საქართველოს ხელისუფლებას (მისი სიტყვებით „ძალაუფლებას“) მართავს მტრისთვის საჭირო მიმართულებით. „მტერში“ ქ-ნი ჰილარი ქლინტონიც მოიაზრა და საქართველოში მიმდინარე პროცესების დადებითად შეფასებაში დაადანაშაულა. შემდეგ კი ავლანეთში განხორციელებული კამპანია მიმოიხილა და გარკვეული აქცენტების დასმით გადააბა ეს თემა ჩვენს ქვეყანაში გაკვალულ ნარკოტრასებს, რომელზეც ყოველწლიურად (ელექტრომედიაზე დაყრდნობით) 9,5 ტონა ჰეროინი მოძრაობს და აქედან 1,5 ტონა საქართველოში, კერძოდ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში რჩება, ხოლო ამ საწამლავის რეალიზაციით მიღებული თანხა შიდაპოლიტიკურ ბინძურ თამაშებს ხმარდება. ბატონ გოგას არც ზემოხსენებული უწყების ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილის მიერ (ისევ და ისევ რუსეთის ხელდასხმით) შემუშავებული გეგმის განხილვა გამორჩენია, რომელიც ჩრდილოკავკასიელთა საქართველოში უვიზო შემოსვლას (სადაზვერვო მიზნებისთვის — **გ. ხ.**) გულისხმობს და ბოლოს რუსეთის მასმედიის საშუალებებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ განხორციელებული P.R. აქციებიდან გამომდინარე, მას (ვანო მერაბიშვილს) მინიმუმ ФСБ-ს ხელმძღვანელის პოსტი უწინასწარმეტყველა, ხოლო მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური გვამი უწოდა, „რომელიც თავის დროზე ყველაფერს ჩაიდა ფსონში გარკვეული მისიის შესასრულებლად“ **(გ. ხ.)**.

* * *

**რამდენჯერმე გულდასმით მოვუსმინე პრესკონფერენციაზე გაკეთებულ ჩანაწერს, მეხსიერებაში ცხადად აღვიდგინე ბატონი გოგას სახის გამომეტყველება, მისი მეტყველებისთვის არადამახასიათებელი მანერა და თავში გამიელვა, პოლიტიკოსის „გედის სიმღერა“ ხომ არ მოვისმინე-მეთქი ამა თუ იმ მიზეზთა გამო „შესრულებული“. ისიც გავითვალისწინე, ერთ-ერთი ტელეარხით რომ განაცხადა: რამდენიმე წლით ვაპირებ ევროპაში წასვლას ფილმის გადასაღებადო (იქნებ დაიღალა კაცი!), მაგრამ მაინც ერთზე გავჩერდი, ფრაზაზე ცნობილი კინოფილმიდან: „Восток дело тонкое, Петруха“. პოლიტიკოსისთვის კი (მოქმედებისთვის თუ უმოქმედებისთვის) ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.**

**ლევან ორახელაშვილი**

◎ პური ჩვენი არსობისა

**წლევანდელ ზაფხულში არახელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა მსოფლიოში ხორბლის მოსავლის მოცულობა, საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით, იმდენად შეამცირა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტის მწარმოებელმა რამდენიმე მთავარმა ქვეყანამ (რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა) მისი პროდუქციის ექსპორტზე ისეთი „შეზღუდვები“ დააწესა, რომლებიც, ფაქტობრივად, ემბარგოს ნიშნავს. შესაბამისად, პურის, ფქვილისა და მისი ნაწარმის ფასმა, განსაკუთრებით კი ხორბლის არცთუ დიდი ოდენობით მწარმოებელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საგრძნობლად მოიმატა, თუმცა ბოლო დღეების განმავლობაში მსოფლიოს წამყვან სასაქონლო ბირჟებზე სხვადასხვა სახეობის ხორბლის ფასი შემცირდა, რაც ექსპერტებს პურის ფასების ზრდის ტენდენციის შეჩერებას და მათი შემცირების იმედისმომცემი შესაძლებლობის ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას აძლევს.**

## იქნებ მოხდეს სასწაული და გაირღვეს მანკიერი წრე?

მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით, მთელ მსოფლიოში ხორბლის მთლიანმა წარმოებამ წლეულს 650 მილიონი ტონა შეადგინა, რაც მსოფლიო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი კულტურის უმსხვილეს ქვეყნებში ზაფხულის უამინდობის პირობებში საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ხორბლის საკითხების საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტთა ვარაუდით, წლეულს ზამთარში ვითარება ხორბლის მსოფლიო ბაზრებზე, გარკვეული დაძაბულობის მიუხედავად, რაც რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს დაწესებას მოჰყვა, სტაბილური უნდა იყოს. ამ პროგნოზის გაკეთების საშუალებას მათ ბოლო ათი დღის მანძილზე ბირჟებზე ხორბალზე სავაჭრო გარიგებათა ანალიზი აძლევს.

ამასთან, ევროპის უდიდეს, პარიზის ბირჟაზე, ნოემბრის ფიუჩერსებზე ტონა პურის ფქვილის

### ინფორმაცია თემაში

**მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე, წლევანდელი დეკემბრის ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით, ბოლო პერიოდში, ხორბლის ე.წ. მაგარი ჯიშების ტონის ფასი 284 დოლარიდან 253,25 დოლარამდე , ხოლო რბილი ჯიშებისა — 264,5 დოლარიდან 240,7 დოლარამდე შემცირდა.**

ფასი 224 ევროდან 203,25 ევრომდე შემცირდა, ლონდონის ბირჟაზე კი შესაბამისმა ფასმა 162 გირვანქა სტერლინგიდან 152,25 გირვანქა სტერლინგამდე დაიკლო. იგივე ტენდენცია აღინიშნება, ასევე ევრაზიის სავაჭრო სისტემის ალმათის ხორბლის ბირჟაზეც, სადაც მესამე ხარისხის ტონა ფქვილიც მართალია მცირედით, მაგრამ მაინც გაიაფდა.

ოქტომბერში მსოფლიო ბირჟებზე ხორბლისა და ფქვილის ფასების შემცირებას, მიმომხილველები და სპეციალისტები ერთგვარად სექტემბრის მიწურულს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გაკეთებულ განცხადებას უკავშირებენ, რომელიც ქვეყანაში არსებული ხორბლის მარაგს ეხებოდა. გაცხადებული ინფორმაციით, წლევანდელი 1 სექტემბრის მდგომარეობით, ამერიკის შეერთებული შტატების ხორბლის მარაგი დაახლოებით 66,92 მილიონ ტონას შეადგენდა, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით — 60,28 მილიონი ტონა — მეტია.



მსოფლიოში ხორბლის უდიდეს მწარმოებელთა შორის მეოთხემ, ავსტრალიამ, რომელიც ამ მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და რუსეთს რამდენადმე ჩამორჩება, სადღეისოდ ექსპორტი 15 პროცენტით შეამცირა. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად რუსეთში ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს გაუქმების საკითხს განიხილავენ, რის თაობაზე ქვეყნის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა კიდეც, თუმცა მთავრობაში აღნიშნეს, რომ მომავალი წლის ივლისამდე ემბარგოს მოხსნა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამის მიზეზად კი, უწინარესად, ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების აუცილებლობას ასახელებენ.

ყოველივე ამის თაობაზე მეტნაკლებად დეტალურად იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჩვენც, ისევე როგორც სხვაგან, საკუთარი ამბავი გვადარდებს და ის გვაინტერესებს, როგორი იქნება პურისა და ფქვილის ფასი საქართველოში, რომლებიც, ცხადია, მსოფლიო ფასებზე მჭიდროდაა მიბმული.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ხორბალი შარშან და წლეულს უმთავრესად რუსეთიდან ტრანზიტით შემოჰქონდათ. იმპორტის მოცულობის მხრივ მეორე ადგილზე იყო ყაზახეთი, რომელსაც უკრაინა და თურქეთი მოჰყვებოდნენ. შარშან საქართველოში მთლიანად დაახლოებით 515 ათასი ტონა უცხოური ხორბალი იყო შემოტანილი, წლეულს კი, რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე ემბარგოს გამოცხადების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ყაზახეთიდან შემოტანილი ხორბლის ოდენობა. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინაში ხორბლის მოსავლიანობის შემცირების მიუხედავად, საქართველო იქიდან მაინც მიიღებს იმდენს, რამდენიც წინასწარი გარიგებებით იყო გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს საქართველოში იმდენი ხორბალი მოგვყავდა, რომ მისი მოსავალი მთლიანად შიდა ბაზარსაც სწვდებოდა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანადაც რჩებოდა, სადღეისოდ ადგილობრივი წარმოება შიდა მოთხოვნას, უკეთეს შემთხვევაში 15 პროცენტით თუ აკმაყოფილებს, დანარჩენი კი შემოგვაქვს. საქართველოში ხორბლის სამი „ბეღელია“ — კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი, თუმცა ცოტ-ცოტა ხორბალი მოჰყავთ, ასევე სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში. შარშანდელმა ხორბლის მოსავალმა საქართველოში მთლიანად დაახლოებით 54 ათასი ტონა შეადგინა.

მსოფლიოში ხორბლის წლევანდელ მოსავალთან დაკავშირებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, ცხადია, საქართველოში ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტის ფასებზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა, რისი შედეგი პურისა და პურპროდუქტების ფასების საგრძნობი მომატებაა. მთავრობაში და ხორბლის იმპორტიორ მსხვილ კომპანიებში ამჟამად აცხადებენ, რომ მოახლოებული ზამთრის პირობებში ქვეყანაში ხორბლის საჭირო მარაგი არის, თუმცა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე ხორბლის ფასები ბოლოდროს შემცირდა, მაგრამ უახლოეს მომავალში ჩვენში ფქვილის, პურისა და პურპროდუქტების სწრაფი გაიაფების იმედი მაინც არ უნდა გვქონდეს, რადგან, როგორც აცხადებენ, ჯერ საკმარისად არის ძვირად ნაყიდი პროდუქციის ნაშთები. შესაბამისად, ხორბლის მსოფლიო ფასების კლება საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე შედარებით გვიან აისახება.

ხორბლის ნაშთების ამბავი კია ჩვენთვის გასაგები, ისევე როგორც არც ნავთობპროდუქტების (ასევე ზოგიერთი სხვა საქონლის) ნაშთების ამბავი ყოფილა „ჩინური ანბანი“, მაგრამ შიდა ბაზრისა და აქაური „ძირითადი მოთამაშეების“ წლების მანძილზე აპრობირებულ პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ჩვენში ერთხელ გაძვირებული პროდუქცია შემდგომ, ფაქტობრივად, არც არასდროს გაიაფებულა, ხოლო ფასს თუ დაუკლია, ძალიან უმნიშვნელოდ. თუ პურისა და პურპროდუქტების მწარმოებლები ამ მოსაზრებას გაგვიბათილებენ, მოსახლეობას მადლობის მეტი სათქმელი რა გვექნება.

**ოთარ ტურაბელიძე**

წლები – სიმდიდრე

# სიცოცხლის დედა

ღირსების ორდენის კავალერს, უმაღლესი კატეგორიის ექიმ მეან-გინეკოლოგს თინათინ ფარქოსაძე-კოზახიძეს სახლში ვესტუმრეთ. ექიმი, რომლის სამუშაო სტაჟი 50 წელს აღემატება, დღესაც ენერგიულად გამოიყურება. იგი კარგი მოსაუბრეც გამოდგა და ბევრი საინტერესო ამბავიც გვიამბო საკუთარი ცხოვრებიდან...

ქალბატონმა თინათინმა 1952 წელს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თავისი ბედი ახალგაზრდა, პერსპექტიულ სამხედრო ოფიცერს ირაკლი ფარქოსაძეს დაუკავშირა, რომელთანაც ერთად, ბედნიერი ცხოვრების 56 წელიწადი გაატარა.



ქალბატონმა თინათინმა თავისი საექიმო მოღვაწეობა დაიწყო მეან-გინეკოლოგის პროფესიით. იგი ახალგაზრდული შემართებით იმაღლებდა პროფესიულ დონეს. როგორც სამხედრო მოსამსახურის მეუღლეს მუშაობა მოუწია ლვოვის, ოდესის, ნოვოსიბირსკის და კიევის წამყვან კლინიკებში ისეთი საერთაშორისო დონის პროფესორების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ პეტჩენკო, კეილინი, ბაკშეევი, სტეპანკოვსკაია, ბაზუხადია და სხვები.

მალე მისმა დიდმა შრომისმოყვარეობამ ნაყოფი გამოიღო: დაინიშნა ჯერ უფროს ორდინატორად ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქების კლინიკებში (ლვოვი, ოდესა, ნოვოსიბირსკი), ხოლო შემდეგ, მისი მეუღლის ქალაქ კიევში გადაყვანის შემდეგ, 1969 წლიდან იწყებს მუშაობას ქ.კიევის მეორე კლინიკურ საავადმყოფოში გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ. ამ ქალაქების კლინიკებში წარმატებული და გამორჩეული მუშაობისთვის ქალბატონი თინა დაჯილდოებულია მრავალი დიპლომითა და სიგელით.

1971 წელს მას ქ.კიევში, უკრაინის ჯანმრთელობის სამინისტრომ მიანიჭა ექიმ მეან-გინეკოლოგის უმაღლესი კატეგორია. ამავე პერიოდში მისი მეუღლე, უკვე პოლკოვნიკი ირაკლი ფარქოსაძე ჯერ ციმბირში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარდალია, ხოლო შემდეგ ქ.კიევის უმაღლესი რადიოტექნიკური სასწავლებლის (აკადემიის სტატუსით) პრორექტორია. მათ კარგად ესმოდათ, რომ ისინი უცხო ქვეყანაში საქართველოს ელჩები იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოს წარმოჩენას. ამავე წლებში ირაკლი უკრაინის „რადას" ერთადერთი ქართველი წევრი გახდა, რაც იმ დროისთვის იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

1976 წელს საზღვარგარეთ 36-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ირაკლი გადმოყავთ საქართველოში და მისი მეუღლე, ქალბატონი თინათინიც, როგორც სამშობლოს, მეუღლის, ოჯახის ერთგული და მოყვარული, მაშინვე უბრუნდება მონატრებულ და საყვარელ საქართველოს.

1976 წელს ქალბატონი თინათინი ინიშნება თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ. უკვე ამ პერიოდიდან ქალბატონმა თინამ უმთავრეს მიზნად დაისახა გამოეზარდა ახალგაზრდა ექიმები და თავისი მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მათთვის გადაეცა. დღეს იგი თვლის, რომ ეს მისია წარმატებით შეასრულა, რადგანაც ამ განყოფილების (დღეისთვის უკვე კლინიკის) ექიმები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან საქართველოში.

ქალბატონი თინათინი განსაკუთრებული სიამაყით გვიყვება ერთადერთი ქალიშვილის თამარ ფარქოსაძე-იაშვილის შესახებ, რომელსაც მან ბავშვობიდანვე ჩაუნერგა ექიმის პროფესიის სიყვარული. თამარმა გაამართლა დედის იმედები, ჯერ კიდევ კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სადოქტოროზე მუშაობა კი თბილისში, პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს პალიკო კინტრაიას ხელმძღვანელობით განაგრძო. სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, მას მუშაობა მოუწია გერმანიის ზაარლანდის ვინტერბერგის კლინიკაში, შემდეგ – ამერიკის ოლბანის კლინიკაში. ქალბატონი თამარი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილეა. საქართველოს ბიოლოგიური მედიცინისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოების ლექტორი და აქტიური წევრი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ბიორეგულაციური მედიცინის" სარედაქციო საბჭოს წევრია.

დღეს ქალბატონი თამარ იაშვილი იმ გინეკოლოგიურ კლინიკას ხელმძღვანელობს, რომელსაც მრავალი წლის წინათ დედამისი თინათინი ხელმძღვანელობდა. ასე რომ, ქალბატონ თინას მართლაც აქვს საამაყო, ესტაფეტა ღირსეული შვილის ხელშია, თუმცაღა, ღვაწლმოსილ ექიმს ისიც „ადარდებს", რომ მისი შვილიშვილები ოჯახურ ტრადიციას არ აგრძელებენ.

და მაინც, მთავარზე მთავარი საქართველოს დამსახურებული ექიმის, ღირსების ორდენის კავალერის თინათინ ფარქოსაძისთვის არის ის მრავალრიცხოვანი სიცოცხლე, რომელიც მან ამ ქვეყნად მოავლინა და იმ ხალხის მადლიერი სახეები, რომელთაც ჯანმრთელობა შეუნარჩუნა.

ჩვენც ჯანმრთელობა გვინდა ვუსურვოთ მომღიმარ, ლამაზ ქალბატონსა და შრომის ვეტერანს, სიცოცხლის დედას თინათინ ფარქოსაძეს და გვინდა დავარწმუნოთ, რომ მისი ღვაწლი და ამაგი არ გვავიწყდება.

**რუსუდან შავლიაშვილი,**
**ნინო ქორჩილავა.**

სარედაქციო ფოსტიდან

# პატარები სიცივისთვის არ გაგვიწირა!

## მადლობის წერილი შპს „ცენტრის" პრეზიდენტს ბატონ ილია მოსიაშვილს

**„კაცი-კაცითაო, ლობე – ძაცვითაო". – უთქვამს ბრძენ ქართველ ხალხს და ამაში დიდი სიბრძნე და ჭეშმარიტება ჩაუდვია.**

მართლაც, კაცებზე და კაცობაზე დგას ეს წუთისოფელი, მაგრამ არც ბრძენი რომაელი ტყუის, როცა ამბობს – „ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო". ცხოვრებაში ხდება, როცა არენას ადამიანები ეუფლებიან, კაცები კი კულისებში იდევნებიან...

ჩვენს სამშობლოში, ჩვენს საქართველოში, სამწუხაროდ და საუბედუროდ, კაცები და კაცობა, სწორედ რომ კულისებში დგანან, თუმცა, მადლობა უფალს, ისინი მაინც არსებობენ და ქრისტიანული ზნეობით აკეთებენ თავიანთ საკეთებელს – სჩადიან სიკეთეს, დებენ ქვაზე და მიდიან ისე, არც ფიქრობენ ამ სიკეთის ნაყოფი დახვდებათ თუ არ დახვდებათ გზად. ამას უანგარობას ეძახიან...

შეიძლება უფროსებმა შეგვიწონონ: „რა იციან ამ რძეშეუშრობელმა ლლაპებმა ანგარების ან უანგარობისო".

დიახ, ჩვენ ვიცით რა არის უანგარობა. ეს არის ის, რაც მორალურად და იურიდიულად გეკუთვნის, მაგრამ უარს ამბობ მასზე.

დღეს ჩვენ, სწორედ ამ უანგარობაზე გვინდა ვისაუბროთ.

ჩვენი სკოლის მახლობლად შპს „ცენტრს" ქ. რუსთავში, ლომოურის ქუჩაზე მდებარე ყოფილ პურის ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული აქვს თავის საკუთრებაში მქონე სხვადასხვა სამრეწველო და კვების ობიექტები, რომელთა უწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველსაყოფად „ცენტრის" დირექციამ „რუსთავგაზის" მაგისტრალიდან, რომელიც გადის ქალაქის შემოსასვლელიდან, წითელი ხიდის მიმართულებით გამავალი ტრასის გასწვრივ, საკუთრივ გამოიყვანა 100 მმ-იანი გაზსადენი. ეს მილი, თითქმის, ლომოურის ქუჩის გასწვრივაა. ლომოურის ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული კერძო სახლები თუ კორპუსები, წარმოება-დაწესებულებები თუ რესტორნები, საავადმყოფოები თუ სხვა ორგანიზაციები შპს „ცენტრის" ხელმძღვანელობას სთხოვდნენ, რათა მიეღოთ ნებართვა „ცენტრის" საკუთრებაში მქონე გაზსადენზე მიეერთებინათ მათი ნაგებობანი და იქიდან მიეღოთ ბუნებრივი აირი. მთხოვნელთა უგრძეს სიაში ჩვენი სკოლაც აღმოჩნდა.

სიმართლე უნდა ითქვას: შპს „ცენტრის" პრეზიდენტი ბ-ნი ილია მოსიაშვილი მთელ საქართველოში ცნობილი ბიზნესმენი თავისი მეცენატობითა და ქველმოქმედებითაცაა სახელგანთქმული, მაგრამ უამრავ მთხოვნელთა სურვილების დაკმაყოფილება მათი ობიექტების გაზმომარაგების საკითხს ეჭვქვეშ დააყენებდა. ამიტომ ბ-ნ ილიას ვერავინ გაამტყუნებდა. ქველმოქმედება და გაჭირვებულთათვის ხელის წაშველება, დიახაც კურთხეული საქმეა, მაგრამ, გამფლანგველობა და საკუთარი საქმის გაფუჭება არც უფლისგანაა გამართლებული. ამიტომ როდესაც შპს „ცენტრის" პრეზიდენტს მთხოვნელთა უგრძესი სია წარუდგინეს, ყველას უარყოფითი ნიშანი დაუსვა. დიახ, ყველას, გარდა...

„ჩირაღდანი"... სკოლა... ბავშვები... სიცივე"...

ბატონ ილიას თანამმართველთათვის გადაუხედავს. ერთხანს სიჩუმე დასადგურებულა. მერე კალამი აუღია და „ჩირაღდნის" განცხადებაზე მიუწერია: „დაკმაყოფილდეს! – ილია მოსიაშვილი".

„გამონაკლისი დაშვებულია! ე. ი. დასაშვებია სხვაც!..

...არა ეს გამონაკლისი არ არის! – უთქვამს მეცენატს. – ეს მოვალეობაა. ჩვენ ყველა აქ მსხდომნი, ბაბუები და პაპები ვართ. ხაზგასმით ვამბობ: ბაბუები და პაპები! უფლება არ გვაქვს, ჩვენი ბავშვები, ჩვენი შვილიშვილები, მოსწავლეები – ჩვენი მომავალი, სიცივისთვის გავწიროთ.

მადლობა!.. გულწრფელი მადლობა პაპა ილიას ამ სითბოსა და სიკეთისათვის. მადლობა ჩვენთვის არ არის უბრალო, რაღაც სანაცვლოდ გაცემული ფასეულობა.

„ჩირაღდნის" სკოლის მოსწავლეების სახელით

**სკოლის დირექტორი**
**დავით კაპანაძე.**

აბუჩად აგდება

# ყველაფერი განსაკუთრებული ბავშვებს – შიმშილი, კუთხეში ცალ ფეხზე დგომა...

**ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, რომელსაც ჩვენი ქვეყანაცაა მიერთებული, ბავშვებს აქვთ უფლება შეუზღუდავად გამოთქვან თავისი აზრი, იყვნენ დაცულები ექსპლუატაციისგან და ისეთი სამუშაოები არ შეასრულონ, რაც მათ ჯანმრთელობას ზიანს მოუტანს. მაგრამ ჭირდება მინისტრ შაშკინს ბავშვთა უფლებები და კონვენცია?**

სახალხო დამცველის ოფისმა ბავშვთა სახლებში მონიტორინგი ჩაატარა. შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. შემოწმებულმა ბევრმა ბავშვმა დაუფარავად განაცხადა, რომ მათ სცემენ როგორც აღმზრდელები და მომვლელები, ისე ასაკით უფროსები. გამოიყენება დასჯის ყველა ფორმა. მათ შორის დამცირება, კუთხეში ცალ ფეხზე და მუხლებზე დაყენება, უსადილოდ დატოვება, ბუნებრივი მოთხოვნილებების შეზღუდვა, გაშიშვლება.



კოჯრის ბავშვთა სახლის ბინადართა მდგომარეობის შემოწმებისას, რამდენიმე აღსაზრდელმა შემმოწმებლებს თანატოლების თანდასწრებით მათი ცემისა და გაშიშვლების ფაქტები უამბო. სახალხო დამცველებმა მსგავსის გამეორების შემთხვევაში მათთან დაკავშირება სთხოვეს და ტელეფონის ნომრებიც დაუტოვეს. კოჯორში მეორეჯერ ასვლისას აღმზრდელ-პედაგოგებმა წყენით აღნიშნეს, რომ ბავშვები მათ როგორც კი რამე არ მოეწონებათ, სახალხო დამცველის ოფისში დარეკვით ემუქრებიან.

ტელეფონით სარგებლობით უფლებას მოკლებულნი არიან წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. დარეკვა მხოლოდ დირექტორის მობილურითაა შესაძლებელიო, – აცხადებენ სახლის ბინადარნი. მათივე გადმოცემით, აღმზრდელები ხშირად იყენებენ ოთახში ცალკე გამოკეტვისა და უსადილოდ დატოვების მეთოდებსაც. აღსანიშნავია, რომ „პედაგოგები" ამგვარ ზომებს ხშირად გონებრივად ჩამორჩენილთა მიმართ იყენებენ.

არსებობს დასჯის სხვა სახეობებიც. განსაკუთრებით ხშირად უმცროსი ასაკის აღსაზრდელებს სჯიან. მათ აიძულებენ დაგავონ საძინებელი ოთახები და დერეფნები, საკუთართან ერთად სხვისი ფეხსაცმელიც გაწმინდონ, გარეცხონ სარეცხი, ჭურჭელი, დაბანონ სხვები, დაჩეხონ შეშა და ა. შ.

ბავშთა სახლებში ისეთი რეჟიმია დაწესებული, რომ ბავშვს დავალებაზე უარის თქმის უფლება არა აქვს. მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელთა დასკვნით, ყველაზე მეტად ისინი იჩაგრებიან, ვინც ყოვლად უპროტესტოდ ასრულებს დავალებებს. კაჭრეთის დაწესებულებაში ერთ-ერთ გოგონას სასჯელის სახით მთელი ზამთარი ცივი წყლით უნდა ერეცხა. ბავშვს ფილტვების ანთება დაემართა. უმკურნალეს, მაგრამ სასჯელი არ შეუცვლიათ და კვლავ ძველ საქმიანობას დაუბრუნეს. აღმზრდელებმა ეს იმით ახსნეს, რომ სასჯელის ამგვარი მეთოდების გამოყენებით ბავშვს შრომას და მის ფასს ასწავლიან.

დუშეთის სკოლა-პანსიონატში ერთ-ერთმა პედაგოგმა ჩანთიდან ასი ლარი დაკარგა. გამოიძახეს პოლიცია. მათ თავიანთი შერჩევით (შეიძლება დაზარალებულის მითითებითაცძ რამდენიმე ბიჭი შენობიდან გაიყვანეს და ჯერ მანქანაში სცემეს, შემდეგ – პოლიციაში. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებთან საუბრისას რამდენიმე პედაგოგმა არ დამალა (თუმცა ვინაობები დამალესძ, რომ მსგავსი შემთხვევა მათ დაწესებულებაში პირველი არ არის.

სახალხო დამცველის წარდგინებით სამართალდამცავთა ქმედებებს პროკურატურა იძიებს.

ფსიქოლოგთა დასკვნით, ამგვარ გარემოში აღზრდილი ბავშვი ჯანმრთელი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ვერ გახდება.

**ზაზა ბილიხოძე**

რეცენზია

მურმან თავდიშვილი

# ახალი ტიპის რომანი

**გიუნტერ გრასის ერთ-ერთი საინტერესო რომანია „ჩემი საუკუნე“. იგი „ინტელექტმა“ 2008 წელს გამოსცა და ქართული ტექსტის რედაქტორი მე გახლავართ. 1999 წელს გერმანელი მწერალი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. დასკვნა ასეთი იყო: „აზრით დატვირთული მაღალმხატვრული პროზაული ნაწარმოებისა და შ ა ვ ი  ი უ მ ო რ ი თ განმსჭვალული იგავებისათვის, რომელთა მეშვეობით თვალწინ იშლება მივიწყებული ისტორია“.**

საგულისხმოა, რომ „შავი იუმორი“ თავიდან ბოლომდე მსჭვალავს არა ოდენ იმ ნაწარმოებს, რომლისთვისაც პრემია არგუნეს („თუნუქის დოლი“), არამედ „ჩემს საუკუნესაც“.

ვამტკიცებ: რევაზ მიშველაძის რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (2010) ასევე ჩვენი ეპოქის, იმავე გიუნტერ გრასისეული საუკუნის, ამსახველია, ისევე მაღალმხატვრულია, ისევე აზრით დატვირთულია, ოღონდ არის ერთი არსებითი განსხვავება – ქართველი მწერლის მთელი შემოქმედება, სწორედ ისე, როგორც ეგ რომანი, თ ე თ რ ი  ი უ მ ო რ ი თ არის განმსჭვალული.

კიდევ ერთი განსხვავება.

გერმანელ მწერალს არ შეშინებია იმისა, რათა ეპოქის ამსახველი რომანი საკმაოდ მშრალი და მონოტონური ქვესათაურებით წარმოედგინა. მაგალითად, პირველი ნაკვეთის სათაურია 1900, მეორისა – 1901 და ა. შ. ეპოქის რომელიმე ცალკე წელიწადის მთავარი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული პრობლემები თუ სიახლენი მოთხრობილია, მაგალითად, მემაღაროეს ენით, ფაქტები დანახულია მისი თვალით; სხვა წელიწადის მთავარ მსოფლიო მოვლენებს ვხედავთ მეომრის (რიგითის ანდა გენერლის) თვალთახედვით; დანარჩენი წლების მოვლენათა თაობაზე მოგვითხრობენ ცნობილი მწერლები, პოლიტიკოსები, დიასახლისები და ა. შ. წიგნის ბოლო ქვესათაურია 1999.

რევაზ მიშველაძეს რომანი შეუდგენია იმავე ასოციაციური პრინციპით, ოღონდ, ჯერ ერთი, ქვესათაურები არ გამოუყენებია, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ რომანის ამბის დინამიკური განვითარება შეაფერხოსო. ვფიქრობ, ეს ამაო შიშია. ვიმეორებ, გ. გრასის წიგნიც ცხოველი ინტერესით იკითხება, თუმცა დასათაურებები ერთობ მონიტონურია და, ერთი შეხედვით, არაფრისმეტყველი; მეორეც, ეჭვი არაა, თ ე თ რ ი  ი უ მ ო რ ი უფრო ხალისიანსა ხდის წიგნს და ამიტომაც შიდასათაურები არათუ შეანელებდა ინტერესს, პირიქით, გააცხოველებდა; მეორეც, თუ გ. გრასის „ჩემი საუკუნე“ მთელ ასწლეულს მოიცავს და ასახავს, ქართველმა პროზაიკოსმა (თუმცა რომანი 1990-იანი წლების ამბებით იწყება, მაგრამ ზოგი პერსონაჟის ნაფიქრ-ნააზრევი ან მონაყოლი ამბები 1960-იან წლებსაც გადასწვდება) ფაქტობრივად ეპოქის გამომსახველ რომანს წინა 40 წელი გამოაკლო. ვფიქრობ, ამ ტიპის წიგნს აუცილებლად უნდა აესახა ის გამოტოვებული ოთხი ათწლეულიც. ჩემი ფიქრით, ტექსტის მეორე გამოცემისათვის ავტორმა აუცილებლად უნდა შექმნას გამოტოვებული დროის მხატვრული მატიანე.

ზემორე თქმულიდან ვხედავთ: ქართული მწერლობა კვალში მისდევს ევროპულს, თუმცა, ეპოქის მხატვრული მატიანის გამომსახველი რომანის შექმნის თვალსაზრისით, 10-15 წლით ჩამორჩება.

რევაზ მიშველაძის ეგ მოზაიკურ-პუბლიცისტური რომანი შეიძლება ზოგმა რომანადაც არ ჩათვალოს, რაკი მოზაიკურ-პუბლიცისტურია. შესაძლოა, უფრო მეტად მისმა მოზაიკურ-ასოციაციურმა მხარემ დააბნიოს. სხვათა შორის, ის არ იქნება ამ მხრივ პირველი დაბნეული. „თუნუქის დოლის“ ავტორის ახალ რომანზეც დაწერა ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა, ეგ რომანი არ არისო, სტატიებისა და ჩანახატების კრებულიაო, მაგრამ უმრავლესობამ არ დაუჯერა. ქართველი ოსტატის ნააზრევიც ალაგ-ალაგ ზედმიწევნით ემსგავსება „ჩემს საუკუნეს“, ოღონდ ქრონოლოგიურად თანამიმდევრული არ არის.

წიგნი რომ მოზაიკური პრინციპით არის შედგენილი, ამაზე მეტყველებს ის, რომ ერთმანეთს ენაცვლება პუბლიცისტური ესე და წერილი-მონოლოგი, სუფთა კლასიკური ნოველა და მოთხრობა. ერთგან თვითონ ავტორიც კი შენიშნავს: „ასე რომ არ იყოს, რასავირველია, არც ეს ნოველა დაიწერებოდა“ (577). და, მართლაც, აქ უწინარეს ყოვლისა, კონტექსტისდა მიხედვით, ჩაწნულია ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი და პოპულარული ნოველები. ასეთია, მაგალითად, კლასიკური პუბლიცისტური ნოველა „ბაჯი“ (489), „პრეზიდენტის ჩამოგდების ოსტატები“ (633), კლასიკური ნოველა „იაპონელი“ (701).

მთელ წიგნს რომ გადაიკითხავ, დარწმუნდები: ცამდე მართალია მწერალი, როცა აცხადებს: „ჩემგან არ გაკეთდა კაბინეტში მჯდომი, თავჩაჩიანი მწერალი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ბუხარს მიფიცხებული თავისი დარბაზის სარკმლიდან რომ ათვალიერებს ცხოვრებას და წერს მშვიდად, აუჩქარებლად... ჩემი და ჩემი ქვეყნის დაუდგრომელმა, ბობოქარმა, გნებავთ დრამატულმა მდინარებამ კისრის ძარღვების დაწყვეტამდე მაყვირა და მაჯანჯღარა. მე ჩურჩულს გადაჩვეული კაცი ვარ“ (779).

ჩვენთვის, სხვა კავშირში შობილთათვის, ერთობ ნაცნობია ტერმინები – „მოჩურჩულე კაცი“ და „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

აქვე ითქვას: რევაზ მიშველაძე ჩურჩულს გადაჩვეული კი არა, უჩვევი კაცია. ის მუდამ, თვით იმ დროსაც კი, როცა ბევრნი ჩურჩულითაც ვერ ჰბედავდნენ ლაპარაკს, გაჰყვიროდა, ყელის ჩახლეჩამდე გაიძახოდა იმის შესახებ, რაც იმ დროს აუცილებლად სათქმელი იყო. მისი გაბედულების ერთი ამბავი მაგონდება. თვით ბრეჟნევის ეპოქაში, როცა ეგ პოლიტიკური მოვაწე ზენიტში იდგა, დაიბეჭდა რამდენიმე ისეთი პოლიტიკური ნოველა (ერთი თვით ბრეჟნევზეც კი!), რომელთაგანაც ნებისმიერი გამოდგებოდა მწერლის დასაპატიმრებლად. და აი, ეს რთული აღნაგობის წიგნიც ხმამაღალი გაცხადებაა ყველაზე აქტუალური პოლიტიკური, სოციალური თუ ფიილოსოფიურ-ფსიქოლოგიური სათქმელისა. ამ რთულ მოზაიკურ პანოში ჩართულია ბევრი უკვე ნაცნობი თხზულება, ზოგიც სრულიად ახალია; მოძებნილია გამაერთიანებელი ხაზი – გელა კირთაძე – და მისი განცდები, ფიქრები. ამიტომაც მოზაიკური ასოციაციური ქმნილების შინაარსის გადმოცემა კრიტიკოსის მიერ უიმედო საქმეა. ის მკითხველმა გულისყურით უნდა წაიკითხოს. სამაგიეროდ, ჩვენგან იმის თქმა კი ეგების, თუ ამ მოზაიკაში რამ მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება.

უწინარეს ყოვლისა, თამთასა და გელას სასიყვარულო ამბავია დაუვიწყრად გამოკვეთილი. ამ მშვენიერი გოგონას სიყვარული ისე წყალუხვია, გვალვიან უდაბნოდ წარმოსახულ ქვეყნიერებას რომ მადლის წყალს ასხურებს და აქ რატომღაც თავს მაგონებს სტეფანე მხარგრძელის დიდებულად ნათქვამი ლექსი სწორედ ამგვარი, ოღონდ სხვა თამთას შესახებ:

**თითქოს ალაზნის ერთი ტოტი ხარ**
**და ჩემს ვენახში მოდიხარ, თამთა!**

ვინ არის მთავარი გმირი?

ის ეპოქალურ ამბავთა მომსწრე, თვითმხილველი, მათში სისხლხორცეულად ჩართული და მომთხრობია. მთელი ეპოქა მის გულში გაივლის და იქ სისხლიან კვალსა ტოვებს. ეგ გული გამალებით მუშაობს, იბრძვის, დაეძებს, პოულობს ჭეშმარიტებასა და სიყვარულს. ამიტომაც ასე უხვად აფრქვევს ამ ჭეშმარიტებებსა და სიხარულს საინტერესო მხატვრული ფიგურებისა თუ ზუსტი და ორიგინალური შედარებების მეოხებით.

და, აი, ჩურჩულს გადაჩვეული კაცი ეპოქის სინამდვილეს მხატვრული სიტყვით წარმოგვიდგენს, ხოლო მთელი წიგნის საერთო პათოსი ცნობილი სიტყვებით ასე გამოიხატება: „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“

მაშასადამე, ავტორის აზრით, ქვეყანა, ერი კვლავ იმ დღეშია, მე-19 საუკუნის სამოციან წლებში რომ იყო. ამიტომაც არის: ეპოქის ეს მოუღლელი მეისტორიე არისხებს და არისხებს ზარებს.

როგორც ითქვა, მოქმედების ცენტრში დგას მწერალი გელა კირთაძე. ყველა ამბავი თუ მოქმედება, ყოველი პერსონაჟი მას უკავშირდება. იგი, თვით ავტორივით, არც ერთი პარტიის წევრი არ არის. მისი პორტრეტიც ავტორისას ჰგავს. მან საკუთარ თავში „ამფეთქებელი“ აღმოაჩინა (გალაკტიონი). სიმბოლურია პორტრეტის თითქოსდა უმნიშვნელო შტრიხი: „კეფაზე მიკრულ ყურებში იმაზე მეტი ესმის, რაც უნდა ესმოდეს“. ეს მნიშვნელოვანი მომენტია. აქ მახსენდება მ. მაჭავარიანის თქმული: ნეტავი, თვალები არა მქონდეს, არდასანახავს ვეღარ დავინახავდი და სმენა არა მქონდეს, არსასმენელს ვეღარ მოვისმენდიო.

წიგნი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლთა მიტინგისა და შიმშილობის ასახვით იწყება. მათ ავტორი „ერის თავისუფლებას ზვარაკად შეწირულ ათასამდე უცოდველ ბატკანს“ უწოდებს. ამ აქტში მწერალი იმას ამჩნევს, რომ „საქართველომ გაიღვიძა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მძიმე აბჯარს იზომებს ტანზე“ (16). მწერლის ეროვნული მიმართულება იქვე ცნაურდება, კერძოდ, აი, მოსაზრებაში: „სხვის ენაზე რომ აჭიკჭიკდები, ცოტა აქცენტი მაინც უნდა გქონდეს. უშეცდომოდ თუ იცი სხვისი ენა, შენ გგონია, დიდი ღირსებაა? ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლიური ენა არ იცი კარგად. შენი დათმე, შენსას ზურგი შეაქციე... ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ერი დასაღუპავ-დასაკარგავად გაიმეტე“ (19).

ეპოქის დამღა აზის იმ ამბავსაც, როცა ფსიქიატრი ესტუმრება მწერალს და პაციენტობასა სთხოვს. რად უნდოდა ამგვარ პაციენტთა ხელოვნურად გამრავლება საბჭოთა მთავრობას? იმად, რომ, თუ ის ოდესმე დისიდენტი გახდებოდა, ნერვებმოშლილად და შეურაცხადად გამოაცხადებდა. ისიც ფაქტია, რომ დისიდენტურ და ანტისაბჭოთა იდეოლოგიის მქონეთ უცხოელ ტურისტებთან ურთიერთობას უკრძალავდნენ. უცხოელებს არ უნდა სცოდნოდათ ჩვენში მიმდინარე ფარული პროცესები. ერთი ლონდონელი მანდილოსანი დაუსხლტა თავის მცველებს და მიტინგზე ასე ამოყო თავი. ის შეესწრო 9 აპრილის ღამის ამბებს. იმ ღამით იმასაც „კისერში რაღაც მძიმე მოხვდა და გონება დაკარგა“ (35). ამბავში მკაფიოდ იხატება მაშინდელი ატმოსფერო.

„მე, მანანა კეკელიძე, მომკლეს 1989 წლის 9 აპრილს“ – ასე იწყება მომდევნო მოთხრობა-მონოლოგი. ახლა ამ გოგონას მონაყოლის მიხედვით იხატება ის მძიმე ვითარება. საგულისხმოა აღსარების ეს მონაკვეთი: „რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩამატარეს, კინაღამ კუბოში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად“ (44). მომდევნო ამბავი კი საექსპერტო ჯგუფის უფროსის თვალთამზერით ვითარდება. ის იძიებს იმ მომწამვლელ ნივთიერებებს, რომლებიც რუსის ჯარმა გამოიყენა.

მომდევნო ამბავი 9 აპრილის ტრაგედიის ვიდეოფირზე აღბეჭდვას ეძღვნება. ამ ფირს მთავარი გმირი რუსეთში ჩაიტანს. სიმპტომურია რუსი მძღოლისა და მოთხრობის პერსონაჟის საუბარი. რუსი მძღოლი შორეულად ილიას მიერ დახატულ „იამშჩიკსა“ და „პოდპორუჩიკს“ მოგვაგონებს. ესეც სალდაფონურად მსჯელობს.

ავტორი მემატიანის სიზუსტითა და სიჯიუტით უკან მიჰყვება დროს და ყველფერს აღნუსხავს. აგერ ხატოვნად არის ნაჩვენები 1992 წლის დეკემბრის ამბები (87-89), პრეზიდენტის მარცხი და გაქცევა. აგერ აფხაზეთის ომის ამსახველი მასალაც (89). მომდევნო ამბავს ახალგაზრდა მებრძოლი ხვიჩა ჯგერენაია განაგრძობს, იმის მომდევნოს – გენერალი მუსხელაძე. აქ ასახულია ფრონტის არეულობა, ცუდი ორგანიზაცია, უთავბოლოდ ქმედებანი. შემდეგ საუბარში ერევა დაჭრილი მოხალისე, სოხუმის ჰოსპიტალში მწოლიარე. ამას მოჰყვება „სიზმარი“ – საუბარი საიქიოს ბინადარ მოხალისე შვილსა და სააქაოს დროებით შეყოვნებულ მამას შორის (109), სადაც დამთრგუნველი სინამდვილე და მხატვრული სიტყვის ჯადოქრული გრძნობა მამბრივ სიყვარულს შენივთებია. სიმბოლური და ღრმააზროვანია კონტექსტში ჩაწნული ეს ბოლო აკორდი: „საათს დავხედე. ჩემი მიწიერი საათი გაჩერებული იყო. შორიდან სულ ახლოს, ხმადაბლა და მკვიდრად, ჟამუცვლელ ანგელოზთა სამუდამო გალობა ისმოდა. ჩვენ ლურჯ ბალახზე ვისხედით და ვარსკვლავების მოზაიკის მსგავს ცას შევსცქეროდით, ყინწვისის ანგელოზის ფონზე უფრო მუქლურჯ ცას“ (115). ამას ბუნდოვნად ებმის ჩვენი უმწეო პროტესტისა და გზების გადაკეტვის მცდელობები, ლტოლვილთა პირით ნაამბობი და, ბოლოს, ხიზნის თვალით დანახული ცხოვრება, სოხუმიდან ზღვით გამოქცევა; არის დახატული ასეთი მომენტიც: „პროფესორი, ოდესღაც კათედრის გამგე, ახლა ფეხსაცმლის მწმენდავად დამდგარა (138), ხოლო ლტოლვილებს სიზმრები არ ასვენებენ. ერთი სიზმრის შინაარსი ასეთია: „შორს, სადღაც, მტრის ხელში ჩარჩენილ აფხაზეთში, მისი დამწვარი ოდის ბუხარზე მამალი ყიოდა. დიდი, ოქროსფერი, მეწამულდეზებიანი მამალი იყო. მორიგეობით, ოთხივ-კუთხისაკენ შეტრიალებით, ყელის გაგლეჯაზე ყიოდა მამალი, თითქოსდა მთელ დედამიწას ამ კერასთან და გამჭვარტლულ ბუხართან უხმობდა“ (145).

ჩ ვ ე ნ ი  ს ა უ კ უ ნ ე ისახება მომდევნო მოთხრობა-მონოლოგში. ამბებს ლტოლვილები ჰყვებიან. მწერალი უსმენს და იწერს, იწერს და იმახსოვრებს. ეს მწარე სინამდვილეა, ოღონდ ეს ჩვენი ქვეყნის ბედკრული ისტორიაა. ასახულია სოხუმის გავერანებული ქუჩები; აქვეა ყმაწვილის კაცად გახდომის მაჩვენებელი ნოველა, იქვეა ჯიუტი შეყვარებულის ამბავიც (180). ყველაფერი, რასაც რევაზ მიშველაძე ჰყვება. თხრობა იუმორისტული შეფერილობიდან გამომდინარე, საინტერესოა, სახალისოა. აგერ, მაგალითად, დიდი ინტერესით იკითხება ერთოთახიანი მარტოხელა კაცის ამბავი. მწერალი თხრობას მოულოდნელად წყვეტს და იუმორისტულ პასაჟს ურთავს: „ერთოთახიანი ბინის პატრონი უცოლო კაცები, დამერწმუნეთ, თითქმის ყველანი, ერთნაირად ცხოვრობენ: ოჯახს არ ეკიდებიან, ფართობი არ მეყოფაო, ხოლო იმ საეშმაკო და სამამაძაღლო საქმიანობისთვის, უმეტესი მათგანი რომ ეწევა, ერთოთახიანი ბინა ფრიად მოხერხებული რამ არის. ასე რომ, ჩემი ფიქრით, ერთოთახიან მარტოხელა კაცებს, თუ მათთვის კარგი გვინდა, ან მეორე ოთახი უნდა დაუმატო და მკაცრად დაავალო ცოლის შერთვა, ან ის ერთიც უნდა წაართვა და ქუჩაში დატოვო“ (183). ამ ნოველაში საინტერესო „სიყვარულის სამკუთხედია“ აგებული და თხრობას თავიდან ბოლომდე მსუბუქი თეთრი იუმორით გასდევს; აი, ერთი მათგანი: „ქალის მოტაცება სასიამოვნო პროცედურაა-მეთქი, რომ გითხრა, განსაკუთრებით იმისთვის, ვისაც იტაცებენ, არ ვიქნები მართალი. განსაკუთრებით პირში ჩვრის ჩაჩრაზე გამოთქვამენ პროტესტს“ (197), საინტერესოა ს ა მ გ ზ ა ვ რ ო და ს ა კ უ რ ო რ ტ ო რომანების ამსახველი სანოველო ტექსტები. მათშიც იგივე მსუბუქი და თეთრი იუმორია გამჟღავნებული.

სიტყვის ოსტატის ამ წიგნშიც აღმოჩნდა ის სიკეთენი, ადრეც რომ აღვნიშნეთ: ახალის სიტყვის მაძიებლობა, ფიგურული თქმები, მოულოდნელი შედარებები. ზოგ მათგანზე მაინც ვისაუბროთ.

ეროვნულ ლექსიკას ამდიდრებს ნეოლოგიზმები: ჩამოყოლ-ჩამოჭურჭურებული რუ (3); მანქანით წასწყდა იმ ადგილიდან (20); პასუხი ასე გამოაგვირისტა (29); პოეტკაცუნა (133); წამიბილიკოს-მეთქი (166); ჩამოვფლაშტუნდი ძირს (178); ვქიჩმაჩობ (404); ფეხებში შევექარაბაკო (436); შეიხვილითა (454); შევეღმერთე, წავთამამდე (460); ჩათითოდედაბრებული ქართული სოფელი (100); ავტომატი ჩავიქამარშარვალპიჯაკე (519); დაბორიალობს და დაისაწყლება (635); ტელეგოგონები (638); მედომინე პერსონალი (663); აღტაცებით მომიიაპონურრევერანსა (704); ჩაგვაფოტოუკვდავა (710); მივასარკმელდი (762); დააზარწკრიალა (764); ზღვარმტკაველობანა (19); ჩემი დალეწილი რუსულიდან სწრაფად ჩამოვქართულდი (187) და არაერთი სხვა. მათ ათეული წლების შემდეგ ენათმეცნიერები ისევე გულმოდგინედ შეისწავლიან, როგორც დღეს სწავლობენ რუსთველურ ხელეურებს: უცხენმალესი, ვისა (ვაებისა), დესი (დაზე უფრო მაგარი დაი)...

კონტექსტში დიდებულად ჟღერს ფიგურული თქმები: ვაშლს ხრაშუნი უხდება (170); იგი სხვა გაზაფხულებსა მოჰყვა, სხვა თაობას ეკუთვნის, თავის ჩანჩქერებს ათამაშებს (208); პურის ნაჭერს მადიანად ჭამდა და თავისი ფართო ქართული თვალებით მთელ ქვეყანას ზედ აყოლებდა (212). მე, პირადად, ეს ბოლო გამონათქვამი ბევრი გასმენილი მწერლის მთელ მოთხრობას, ზოგის რომანსაც, მირჩევნია. ესენიც კარგი ფიგურებია: სიყვარული და უფლება ერთმანეთს ვერ ეწყობიან (229); – ნელი! – ვიყვირე. ალბათ, ასე ყვირიან ზღვით გაწამებული მეზღვაურები“ მიწას“, ხმელეთს რომ დაინახავენ (244); მოეჩვენა, ცხოვრებას უღვთოდ ჩამორჩა და მის ჩამორჩენაში ბრალი ედო ყველასა და ყველაფერს: იმასაც, აბაზანაში რომ საქმიანობდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ რას ფიქრობდა ამჟამად მისი მორჩილი თანამეცხედრე: წარმოიდგინეთ, ტელევიზორსაც, მაგიდაზე გვერდულად დადებულ უთოსაც, სენაკის ფაბრიკაში მოქსოვილ ხალიჩასაც და ვოროშილოვის გახუნებულ სურათსაც, კედელს რომ გარდაცვლილი მამის ჯიუტ მემკვიდრეობად შემორჩენოდა“ (294); ნერვები ყელზე გვქონდა დაბმული ყველას (447.); მზედაღვრილი თოვლი თავზე ბრწყინვა-ბრკიალით ეფრქვეოდა (576); გაზეთებში დიდად

საინტერესო და მისაჭიჭინებელი არაფერი ეწერია (674); საკრიალოსნო დღეები (798); რა მოხელე-ჩიქვანია (811); თხაწვერა ახალგაზრდა (17) და არაერთი სხვა.

ახლა საინტერესო და მოულოდნელ შედარებებს მივაყურადოთ: მოჭუტულ თვალებში მტაცებელი ფრინველის სიჯიუტე ედგათ (41); ხალიჩაზე დახატული დევის ლამაზ ქალსა ჰგავდა (166); ვარდივით ამოსული ტუჩები; დერეფანს გაუყვა საჩიხეში შემოტყუებული ირმის მსუბუქი, მაგრამ შფოთიანი ბაკიბუკით (231); თითქოს კვიპაროსის ტანიდან გამოძვრაო, მქრქალი წყვდიადიდან კაცი გამოვიდა (264); სიცილისაგან ყბებში თაგვები აუთამაშდნენ (689); ისე თავაწეული, ხელის გაქნევით იწმენდდა ფეხსაცმელებს, გეგონებოდათ, ცეკვის ილეთს სწავლობსო (706); მორგებული გვაქვს მაჩვის ტყავივით (767); ბაირაღივით აფრიალებული სიყვარული (806); აბრეშუმივით ნაზი და უხმაურო მასპინძლები (732).

ავტორის რემარკებში გაპარულა მცირე შეცდომები, რომლებიც მეორე გამოცემაში უნდა გასწორდეს. ესენია: შრამი (12), უნდა „ჭრილობა" ანდა „იარა"; საპროპაგანდო ბასტილიებზე (68). ალბათ, უნდა „ბატალიებზე" ანდა „ბარიკადებზე"; არის რუსული „კიპაროსი", უნდა ქართული „კვიპაროსი"; კამპუჩია (620), უნდა „კამბოჯა". არ ვარგა, როცა სადაობითი ბრუნვის თანდებული „ზე" ზედიზედ ორჯერ იხმარება ერთ ფრაზაში: „ღვინოზე კარზე მომდგარ რუსს" (521). უნდა „ღვინისათვის"...

შეუძლებელია, რევაზ მიშველაძის ხელიდან გამოსულ თხზულებას აკლდეს ხალასი იუმორის ნიმუშები. დავიმოწმებთ ორიოდეს: „გაჭირვებულის დახმარება ჩემი მეორე სპეციალობაა, ოღონდ ეგ არის, გაჭირვებულები ცოტანი დარჩნენ. ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდე, სადღა შეხვდები კარგ გაჭირვებულს. როგორ მიხარია, რომ მოხვედი. მეოთხე დღეა, გაჭირვებული არ შემხვედრია. განსაკუთრებით ფულის გაცემა მიყვარს" (311).

ზოგჯერ ეს იუმორი ერთ კომპოზიტშია ჩატეული. ავტორის ერთი პერსონაჟი „მექრთამე-ნოტარიუსად მუშაობდა დაბაში" (453). თავიდან ბოლომდე თეთრი იუმორით არის განმსჭვალული ის ეპიზოდი, სადაც ერთი პერსონაჟი ყასიდ განცხადებას გამოაკრავს, ფული ვიპოვე და, ვისიც არის, მომაკითხოსო. აქ იმდენი საიუმორო ნიუანსია, მთელ რომანს ეყოფოდა. იგივე ითქმის ეპიზოდზე, სადაც რუსი სამხედრო მოსამსახურეები იარაღს არაყზე ცვლიან. ეს ტიპური ნოველა ამბავს ბუნებრივად ერწყმის. აქედან მოვიყვან მთავარ პერსონაჟთან დაძმაკაცებული მოსამსახურეების ავადმყოფთან მოვლის ამბავს: „მოვიკითხეთ ერთმანეთი. სასთუმალთან ჩამომისხდნენ. ჩანდა, გულგრილნი არ იყვნენ ჩემი ჯანმრთელობის მიმართ. მეო, თავხოტორამ, სურდო რომ შემეყრებაო, მაყვლის მურაბიან **არაყსა** ვსვამო, უებარი წამალიაო. მეო, ლეიტენანტმა, სამ კოვზ იელის თაფლს ვურევ **არაყში** და კიტრივითა ვარ მეორე დღესო. **არყით** დაიზილე ტანი და **არყის** საფენები დაიდეო, სიდოროვმაც **არაყს** რომ გაუსვა ხაზი, ხელი ავწიე დამარცხების ნიშნად, თავზე ჩაჩი დავიხურე; ხალათი მოვისხი, ცოლს სუფრა გავაწყობინე და ჩავუჯექით. **არაყს** ისეთი ჯაჭვი ჰქონდა, დათვიც ვერ გაწყვეტდა. მეცხრე სადღეგრძელოზე ლეიტენანტმა სტეპის გრძელი ომახიანი სიმღერა შემოსძახა... ტუჩებში მაკოცა... ბოლოს ცრემლმორეულმა მკითხა: „;ბეტეერს" ჰყიდის ერთი პოლკოვნიკი კარგ ადამიანზე იაფად. შენისთანა საყვარელი კაცისათვის ნახევარ ფასად დავათმობინებ... თქვენ, ქართველები, ისეთ განედზე ცხოვრობთ, ყოველ მესამე მოსახლეს ჯავშნოსანი უნდა ჰყავდეს, თქვენი უბეტეერობა არაფრით შეიძლებაო" (524).

ერთი სიტყვით, მთავარი პერსონაჟი გელა კირთაძე ხან ნოველის, ხან მოთხრობის, ხშირად პუბლიცისტური ესესა თუ ჩანახატ-მონოლოგის წიაღში ნებივრად შედის და გამოდის.

აგერ ასი ლარის პოვნის ამბით გაწბილებული ბატონი ბონდო კიბეზე ჩადის ნელა, ჯოხის კაკუნით. ავტორი მოულოდნელად დასძენს: „ღია კარებში ვიდექი და ინდურ თეთრ სპილოზე ვფიქრობდი რატომღაც" (647). თითქოსდა სრულიად უადგილოა თეთრ ინდურ სპილოზე ამ დროს ფიქრი, ოღონდ, ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, ამ მეტაფორას ზოგი გახმაურებული მწერლის რომანზე მეტი მნიშვნელობა და ესთეტიკური ხიბლი აქვს. ხომ ხდება – ზოგჯერ ზოგის ხუთასგვერდიან აბდაუბდა ბუმტურტექსტს ერთი ასეთი შედარება ან მხატვრული ფიგურა გირჩევნია. მეც სწორედ მანდა ვარ!

კიდევ ერთი მშვენიერი ხერხი, რევაზ მიშველაძის მიერ გამოგონილი, და ამ წიგნშიც დიდებულად მომარჯვებული. ავტორი ქართული ასოებით გადმოგვცემს უცხოელთა ლაპარაკის, საუბრის მთელ მადლსა და მარილს და ეგ უცხო სიტყვა-თქმანი ბუნებრივადაა ჩართული თხრობაში. აგერ კლასიკური ნოველა „ბაჯი", ჩართული სიუჟეტურ მდინარებაში. გია კირთაძე აზერბაიჯანულ სოფელში ქათამს ყიდულობს. – როგორი ქათამი გინდაო, – ეკითხებიან, დიდი თუ წიწილაო. – საშუალო იყოსო, – უხსნის მყიდველი და აქ ჩართულია აზერბაიჯანელთა ერთმანეთში საუბარი: „–იახში, ქერჩფერკ უფუ ბოქფათქუთა! – გასცა დიასახლისმა გაკარგულება" (497).

ერთ-ერთ უნივერსიტეტში აზერბაიჯანულს ვასწავლიდი და გარწმუნებთ: აქ მცირე ინტონაციური შეცდომაც არაა გაპარული!

იგივე ხერხია მომარჯვებული კლასიკურ ნოველა „იაპონელში".

ბატონ კომიამას ერთხელ იმერეთში ჭურის თავზე უქეიფია. ის ადგილი მერე ვეღარ დაუვიწყია. ახლა საგანგებოდ ჩამოსულა, რათა იმ მასპინძელს მიაგოს და მადლობა გადაუხადოს. აი, ეს ადგილიც:

„ – ბატონმა კომიამამ ოკრიბა იკითხა, რაიმე პრობლემა ხომ არა აქვს ამ ტოპონიმთან დაკავშირებით? – ვიკითხე.

– ძან წან ყუა ჩუნალე ოკ-რი-ბა მოსი ჯუნაწუნჰაი დოვაზელაწუნა?– ჭიკჭიკ-ჭიკჭიკით ჰკითხა გიდმა".

გარწმუნებთ: აქაც არსად არაა დაშვებული ინტონაციურ-მუსიკალური შეცდომა. სიტყვების სიზუსტეს რა მნიშვნელობა აქვს.

იაპონელმა უპასუხა: „–ჰაი, ჰაი, ჯენ ყვაი ჯგბრჰავა ტენ დან თუ კაიდოჩიქჩიქწრუმა" (703).

აქ კი მხოლოდ ერთი პუნქტუაციური უზუსტობაა დაშვებული – სიტყვის „ტენ" შემდეგ აკლია მძიმე. ეგ არის და ეგ (მეც ხომ მაქვს ხუმრობის უფლება, **მ. თ.**).

ავტორმა იცის, უცხოელთა ჩვენთვის გაუგებარ მეტყველებას რა სიტყვები როგორ შეუხამოს, რომ მეტყველების კოლორიტი არ დაირღვეს.

წიგნის დიდი ნაწილი – ეს არის ქალაჩუნად ქცეული და სიზარმაცეშეპარებული ქართველების შესარცხვენად და შესასირცხვილებლად დაწერილი. აქ სწორედ ის წუხილია წინა პლანზე წამოწეული, რასაც ერთი პერსონაჟი ახმოვანებს: „მეტი გამწარება რაღა გინდა, გელა, თვალწინ ცოლს უბახებენ კაცს და, იმის მაგივრად, კბილებით ყელი გამოღრღნას გადამთიელს, თბილისში ჩადის და თავის გაუპატიურებულ ცოლთან ერთად „პალმოლივ" საპონსა და „სნიკერსსა" ყიდის" (823).

სწორედ ამისი და ამგვარი პირების მიმართ პროტესტის ფორმაა ის საქციელი, რასაც მთავარი გმირი სჩადის: თავგანწირული ქართველი აფხაზად შეეტყუება რუს მეომრებს და ჯავშნოსანს ააფეთქებს. თვითონაც დაიღუპება, ოღონდ საიქიოში რამდენიმე მტერსაც წაიმძღვანიებს (825).

ამგვარი მაჟორული ფინალით მთავრდება ეს ახალი ტიპის რომანი, რომლის ასოციაციურ-მოზაიკური იერსახე ამგვარადვე აჭრელებული ჩვენი სინამდვილის ასახვის ორიგინალურ ფორმად და მწერლის მორიგ გამარჯვებად მესახება.

**აგვისტო, 2010**

◎ მკითხველის ლექსი

# სულმა სხივებში დაიდო ბინა



პოეტი ღუღუნი წახნაგია ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მეორე ჭოღაშია დაბადებული და დღესაც იქ, მშობლიურ სოფელში ცხოვრობს, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარეა და არც არასდროს უფიქრია ცხოვრება სხვაგან და სხვანაირად.

დიდი ოჯახის პატრონია, ჰყავს მეუღლე (პედაგოგი), ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი.

ბატონ ღუღუნს მალე 80 წელი შეუსრულდება, მაგრამ თავს კარგად გრძნობს და შემოქმედებით მოღვაწეობას კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობს. ის განსაკუთრებული სიამოვნებითი იხსენებს ახალგაზრდობის პერიოდს, როცა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა.

ბატონი ღუღუნი, როგორც პოეტი, გორის ლიტერატურული გაერთიანების აღზრდილია.

უნდა აღინიშნოს ინსტიტუტში ოთარ ჩხეიძის, ნოდარ ალანიას, სიმონ გაჩეჩილაძის, შოთა ქურდაძის, ტიტე სარიშვილის, ბორის დარჯანიას, ნიკოლოზ კანდელაკის და სხვათა აქტიური მონაწილეობა წრის წევრთა დაოსტატების საქმეში.

ბატონი ღუღუნი ამჟამად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას ხელმძღვანელობს და წარმატებით ეწევა შემოქმედებით საქმიანობას.

გთავაზობთ ღუღუნი წახნაგიას ახალ ლექსებს.

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ" საკ. კორ. ქ. სენაკი.

ღუღუნი წახნაგია

## პოეტის ანდერძი

ტანჯვა-წამება ზურგზე მკიდია,
ეშმა-ურჩხული აღარ მშორდება,
ზღვა სიბოროტე – შურზე დიდია,
– კოლხი მგოსანი აღარ მოკვდება!..
მორბის მდინარე – შლეგი ჩანჩქერი,
ყოველი წამი დროს ენივთება,
ცინცხალი ლექსი – თოვლის ნამქერი,
ციდან მტრედივით ჩამოფრინდება...
ხორცი იტანჯა, გული ეწამა,
სულმა სხივებში დაიდო ბინა,
ცის ანგელოზი, ტანილერწამა,
პოეტს ვერავინ დაათმობინა!
რადგან პოეტი ერის შვილია,
მზე-პოეზია – სულის საკვები –
ასე გვასწავლის დიდი ილია:
– ლექსი ხმალზეა არანაკლები!

## მესაფლავე

შემიცოდე მესაფლავევ,
ბარი დაჰკარ ფრთხილად,
– მიწამ მშობა და გამზარდა,
მივაჩნივარ შვილად.
აღარ შეცდე – ჩემი კუბო,
არ ჩაუშვა უცებ,
– მიწა ნელა მომაყარე,
არა უშავს, ვუძლებ...
– სამუდამო ბინა არის,
ეგ საფლავი, ვიცი,
გთხოვ სუყველას წაუკითხო,
– კოლხი მგოსნის ფიცი.
გთხოვ ხშირ-ხშირად გამიხსენონ,
ჩემეული ლექსით,
– პოეზიის სადღეგრძელო,
ზეზეულად შესვით!
...ჩემი სული ცაში იგრძნობს
ფიცის ათვისებას,
თუ მარადის შეასრულებთ
ღვთისა ათივ მცნებას!..

◎ ჯანმრთელობა

## კენკროვანები იცავენ ტვინს

**ხენდრო, მოცვი, ლურჯი მოცვი აყოვნებენ ტვინის დაბერებას, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ორი თვის განმავლობაში ისინი მღრღნელებს აჭმევდნენ სხვადასხვა კენკროვანს, შემდეგ კი აკვირდებოდნენ, რამდენად ეცვლებოდათ ცხოველებს სწავლების ჩვევები და მეხსიერება. გამოირკვა, რომ თაგვებს, რომლებიც კენკროვანების დიეტაზე იყვნენ, ყველა გონებრივი მაჩვენებელი გაუუმჯობესდათ.**



კენკრა შეიცავს პოლიფენოლებს – შენაერთებს, რომლებიც დიდად უზრუნველყოფენ ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას. მათ აქვთ აგრეთვე ანტიოქსიდენტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებები, ამიტომ ანელებენ დაბერების პროცესს. პოლიფენოლები ასევე კეთილ გავლენას ახდენენ ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედების განსაკუთრებულ კლასზე, რომლის ძირითადი ფუნქციაც არის – სხვადასხვა ინფექციისგან დაცვა და იმ ტოქსიკური ცილების მოცილება, რომლებიც იწვევენ მეხსიერების ასაკოვან დაკარგვას.

## ვიცხოვროთ უანგინოდ

**შემოდგომა – გაცივების პერიოდია. ამიტომ ბევრი გამოცდილი პიროვნება – მედიკოსიც და არამედიკოსიც – გვირჩევს ფანჯრის რაფებზე ვიქონიოთ იები.**



ია სურნელოვანი ყვავილია და საუცხოო საშუალება ანგინის, ფარინგიტის და ზედა სასუნთქი გზების სანერწყვე გარსის ანთებისაგან თავის დაღწევისთვის. გამოიყენება ნახარშის ან სპირტის ნაყენის სახით.

**ნახარში:** 1 ჩაის კოვზ ყვავილს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი. გამოივლეთ და დალიეთ 2 სუფრის კოვზი დღეში 4-5-ჯერ.

**ნაყენი:** 1 სუფრის კოვზ ყვავილს დაასხით 100 მილილიტრი სპირტი, გააჩერეთ და გააზავეთ წყლით პროპორციით 1/3-ზე. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ნაყენი დღეში 3-ჯერ ჭამის წინ. გამოსავლების მოსამზადებლად 10 მილილიტრი ნაყენი გააზავეთ ერთ ჭიქა თბილ წყალში. ვინც ეს ხერხი გამოიყენა, ყველა კმაყოფილია.

## ბუნების კაპრიზები საშიში აღარაა

**ამინდის ცვალებადობა, რაც ასე დამახასიათებელია ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისისათვის, ბევრში თავის ტკივილს იწვევს. აი ხალხური რეცეპტი, რომელიც ხშირად გვეხმარება ასეთ დროს.**



მოამზადეთ ნაყენი გვირილის ყვავილის სხვადასხვა ნაწილის, პიტნის ფოთლისა და ვალერიანის ფესვებისგან. ამ ნარევის 2 სუფრის კოვზი უნდა ავადუღოთ 0,5 ლიტრ წყალში და გავაჩეროთ 1 საათის განმავლობაში თერმოსში. მივიღოთ 0,5 ჭიქა დღეში 2-ჯერ.

კრაზანის (ბალახისძ სუფრის კოვზს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 15 წუთი. სვით პატარა ყლუპებით მთელი დღის განმავლობაში.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ოპერაცია „პრემიერი"

**15 ოქტომბერს საქართველოს ოპოზიცია მიიღებს შესაძლებლობას, ილაპარაკოს ქვეყანაში „მიხეილ სააკაშვილის დიქტატურის" დამკვიდრების შესახებ. პარლამენტი დაამტკიცებს კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკად გადაიქცევა. ამის გაკეთება გათვალისწინებული იყო 12 ოქტომბრისთვის, მაგრამ ზოგიერთმა დეპუტატმა მოითხოვა მისი გადადება, რათა უკეთ გაცნობოდნენ მას**

ხელისუფლების ოპონენტები ძირითადი კანონის ცვლილებებს განიხილავენ, როგორც სახელმწიფო მეთაურის სურვილს – 2013 წელს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგეს მთავრობას. მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ეს არის „არაკეთილსინდისიერი სპეკულაცია". ახალი რედაქციით მთავრობას ჩამოაყალიბებს პარლამენტი. ოპოზიციას დასჭირდება მოიგოს საპარლამენტო არჩევნები 2012 წელს, რათა არ დაუშვას, რომ აქამდე მმართველმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" არ მიიღოს ხმების 50 პროცენტზე მეტი.

შენიშვნები გამოთქვეს ევროსაბჭოს საკონსტიტუციო უფლებათა ვენეციის კომისიის საკონსულტაციო ორგანოს წარმომადგენლებმაც. მაგრამ თბილისში ამბობენ, რომ გაითვალისწინეს ზოგი რამ იქიდან, რაც მათ ურჩიეს უცხოელმა ექსპერტებმა, თუმცა ავტომატურად არ გადაუღიათ ასლი ყველა სურვილისა. ვენეციის კომისია, მაგალითად, მიიჩნევს, რომ პარლამენტს უნდა ჰქონდეს უფრო მეტი უფლებამოსილებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება მთავრობის ნდობადაკარგული დეპუტატების შეცვლა. არასაკმარისად ზუსტად არის განსაზღვრული პრეზიდენტისა და მთავრობის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ გაითვალისწინეს პარლამენტის ოპოზიციის აზრი: მომავალი პრეზიდენტი არჩევნების შემდეგ უარს იტყვის პარტიულ ბილეთზე, აგრეთვე არ შეიძლება მთავრობის ნდობისთვის გარეშე დაინიშნოს უმაღლესი სამხედროები. 2013 წლამდე, ცვლილებათა უმეტესი ნაწილი კი ძალაში შევა პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, საჭირო იქნება კორექტივების შეტანა საქართველოს 160 კანონში, რათა ისინი შეესაბამებოდნენ კონსტიტუციას.

თავად 42 წლის სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს შემდეგ მთავრობას. მაგრამ მისი განცხადებები საპირისპიროა. ზოგჯერ ის ამბობს, რომ განზრახული აქვს 2013 წლის შემდეგ „დატკბეს ცხოვრებით", მაგრამ ისე, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩეს მისი გუნდი. „შეცდომაა შევხედოთ საკონსტიტუციო ცვლილებებს მხოლოდ სააკაშვილის გეგმების პრიზმაში, – განაცხადა ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. – ცვლილებები ხდება პარლამენტის არჩევნებამდე ორი წლით და პრეზიდენტის არჩევნებამდე სამი წლით ადრე. ჩემი აზრით, ეს არის მმართველი დაჯგუფების მცდელობა უზრუნველყოს თავისთვის შემდგომი ყოფნა ზემოთ". ჩვენი მოსაუბრე განმარტავს: „აშკარა მემკვიდრე სააკაშვილს არ ჰყავს. არის ხალხი, რომლებიც თავად ხედავენ თავიანთ თავს ამ როლში. მაგრამ ამის შესახებ ჯერ გადაწყვეტილება არ არის. საქართველოში იქნება ხელისუფლების ორი ცენტრი. პირველი – პირდაპირ არჩეული პრეზიდენტი ყველაზე სიმბოლური უფლებამოსილებებით. მეორე – პრემიერ-მინისტრი დიდი გავლენით. ასევე უზრუნველყოფილი იქნება მორჩილი პარლამენტი იმის გათვალისწინებით, რომ „ნაციონალური მოძრაობა" მოიგებს 2012 წლის არჩევნებს და დაასახელებს პრემიერ-მინისტრს. ოპოზიციონერი ასეთ დასკვნას აკეთებს: ესე იგი, ცვლილებები კონსტიტუციაში შეტანილია არა პირადად სააკაშვილისთვის, არამედ მმართველი ელიტისთვის".



რესპუბლიკელებმა და საქართველოს კიდევ შვიდმა გავლენიანმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელისუფლებას გადასცა წინადადებათა პაკეტი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ. მათ შორის არის ექსპერტის სიების დაზუსტება პიროვნებათა ბიომეტრული უწყებების შემოღების საფუძველზე, ვიდეოკამერების მონტაჟი საარჩევნო უბნებზე და ა.შ. თუ ხელისუფლება არ გამოეხმაურება ამ წინადადებებს, ოპოზიციონერები იმუქრებიან ნოემბრის დასაწყისიდან გამოიყვანონ მომხრეები ქუჩებში. ამ დღეებში ოპოზიციის რადიკალური ფრთა უფრო გაძლიერდა. გაერთიანება „საქართველოს პარტიის" შექმნის შესახებ უკვე გამოაცხადა რამდენიმე ყოფილმა: პრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა 2008 წლის არჩევნებში ლევან გაჩეჩილაძემ, რუსეთში ექს-ელჩმა ეროსი კიწმარიშვილმა, ექს-ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა და თავდაცვის ექს-მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა. ამ უკანასკნელმა განაახლა პოლიტიკური საქმიანობა საზღვარგარეთ: სააკაშვილის ყოფილმა თანამებრძოლმა რამდენიმე წლის წინათ მიიღო საფრანგეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსი, სამშობლოში კი მას ემუქრება კანონის სხვადასხვაგვარი დარღვევისთვის 11 წლის თავისუფლების აღკვეთა. გაერთიანებამ „საქართველოს პარტია" ასევე გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც შეწყდა 2008 წელს კავკასიაში სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, აგრეთვე დაიწყოს დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# სააკაშვილი რუსეთთან დაპირისპირებაში ჩრდილოეთ კავკასიის მხარდაჭერას ეძებს

**15 ოქტომბერს ჟენევაში საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა განაახლეს მოლაპარაკება, რომელიც დღემდე ხასიათდებოდა მხოლოდ თბილისისა და სეპარატისტული რესპუბლიკების პოზიციების განსხვავებით. ეს ორი რესპუბლიკა რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოში**

მოლაპარაკება მიმდინარეობს ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ეუთოსა და რუსეთის ეგიდით იმ შეთანხმებათა განვითარების თვალსაზრისით, რომლებიც მიღწეული იქნა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით მას შემდეგ, რაც 2008 წლის 12 აგვისტოს მან შეძლო შეწყვეტილიყო ომი. იგი დაიწყო საქართველოს თავდასხმით სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე.

ჟენევის მოლაპარაკების მორიგი, ანგარიშით მეცამეტე რაუნდის წინა პერიოდში სააკაშვილმა დაიწყო კავკასიური „ერთიანობის" პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მან წარადგინა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სექტემბერში. ამ პოლიტიკის თანახმად, ჩრდილოეთი კავკასია (რომელიც რუსეთის შემადგენლობაში შედისძ და სამხრეთი კავკასია (რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობენ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და სამი სეპარატისტული ავტონომია, მათ შორის მთიანი ყარაბაღიძ შეადგენენ ერთიან ორგანიზმს (თავისუფალს, სტაბილურს და გაერთიანებულსძ, რომელშიც თბილისს განეკუთვნება ცენტრისა და მიბაძვის ნიმუშის როლი.

„არ არის არც ჩრდილოეთი, არც სამხრეთი კავკასია, არის მხოლოდ ერთი კავკასია, რომელიც ევროპას მიეკუთვნება და, რომელიც ერთხელაც იქნება შეუერთდება თავისუფალ ხალხთა ევროპულ ოჯახს, თუ იგი გაჰყვება საქართველოს გზას", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ნიუ-იორკში. „ჩვენ, კავკასიელებს ძალიან ხშირად გვქონდა იმის იმედი, რომ მეზობელი იმპერიები დაგვიცავდნენ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა", – აღნიშნა მან.

სააკაშვილის მიერ ორშაბათს ხელმოწერილი ბრძანებულების თანახმად, 13 ოქტომბრიდან რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებში, აღარ დასჭირდებათ ვიზები საქართველოში ჩასასვლელად, რუსეთის სხვა ოლქებში მცხოვრებ თანამოქმეთაგან განსხვავებით, რომლებიც, როგორც ადრე, უნდა აფორმებდნენ კვლავაც ვიზებს. ბრძანებულების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებზე, სადაც ცხოვრობს ძირძველი მოსახლეობა (ეთნოკულტურული გაერთიანება, რომელიც ძირითადად შედგება მუსლიმანებისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ მიწაზე რუსეთთან შეერთებამდეძ. კონკრეტულად საკითხი შეეხება დაღესტანს, ჩეჩნეთს, ჩრდილოეთ ოსეთს, ყაბარდო-ბალყარეთს, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადიღეს. ამავე დროს უვიზო რეჟიმი არ მოიცავს მცხოვრებლებს არც კრასნოდარის, არც სტავროპოლის მხარეებისა, რომლებიც ასევე კავკასიას განეკუთვნებიან, სადაც უმეტესად რუსები ცხოვრობენ. ადიღე, რომელზეც ვრცელდება უვიზო რეჟიმი, განთავსებულია კრასნოდარის მხარის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულად მას ემორჩილება. ადიღეს მოსახლეობა ჩერქეზების მემკვიდრეები არიან.

სააკაშვილის ინიციატივა ზემოაღნიშნული რესპუბლიკების მცხოვრებლებს საშუალებას აძლევს იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე 90 დღის განმავლობაში. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებამ რუსეთის ხელისუფლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამ ზომას „პროპაგანდისტული" უწოდა. რუსეთის მთავრობამ მიიღო სპეციალური სტრატეგია ჩრდილოეთი კავკასიის განვითარების შესახებ 2025 წლამდე. ეს არის რუსეთის კონფლიქტური და ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონი, სადაც მუდმივად ხდება ტერორისტული აქტები. კავკასიაში რუსეთის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალია სიკვდილიანობისა და შობადობის მაჩვენებელი (უწინარეს ყოვლისა, მუსლიმანი მოსახლეობის კომპაქტურად დასახლებულ ოლქებშიძ, უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე (50 პროცენტზე მეტიძ და სოფლის მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი (60 პროცენტიძ. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, რუსების ოდენობა კავკასიაში 90-იანი წლების შემდეგ შემცირდა და მთავრობას განზრახული აქვს გაზარდოს ამ რეგიონში მცხოვრებთა შორის რუსების პროცენტი.

საქართველოს ინიციატივამ შეიძლება დაბრკოლება შეუქმნას სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადას. თბილისი ყოველმხრივ უჭერს მხარს ადიღეში დაწყებულ მოძრაობას, რომელიც მოუწოდებს გენოციდის კვალიფიკაცია მიანიჭონ იმ ჩერქეზების ბედს, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი მიწები რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ 1864 წელს.



2008 წლამდე მოსკოვი გამოთქვამდა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისადმი, რომლებსაც შეეძლოთ ყოფილიყვნენ რუსეთის ტერიტორიაზე უვიზოდ მაშინ, როდესაც საქართველოს ყველა დანარჩენ მოსახლეობას უნდა გაეფორმებინა ეს დოკუმენტი. ომის შემდეგ რუსეთმა თავისი სამხედრო ბაზები განათავსა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. საქართველო, რომელიც რუსეთს „ოკუპანტად" მიიჩნევს, უარს აცხადებს განიხილოს ეს ავტონომიები საერთაშორისო სამართლისა და თანაბარუფლებიან მოსაუბრეთა ობიექტებად. სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი აღიარეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ, მაგრამ ისინი არ უღიარებიათ არც ერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, ბელარუსის ლიდერ ალექსანდრ ლუკაშენკოსაც კი, თუმცა იგი ამას გვპირდებოდაო მოწმეების თანდასწრებით, როგორც ამას ამტკიცებს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი.

სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ უკვე მესამედ ზედიზედ მიიღო რეზოლუცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, მათ მიწაზე რომ გაჩაღდა. სააკაშვილი გვარწმუნებს, რომ იძულებით გადაადგილებულთა ოდენობა შეადგენს დაახლოებით 500 ათას კაცს. თუმცა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები ეჭვქვეშ აყენებენ დასახელებულ რიცხვს. ვიაჩესლავ ჩირიკბა, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჟენევის მოლაპარაკებაზე, ამტკიცებს, რომ 50 ათასი კაცი უკვე დაბრუნდა აფხაზეთის გალის რაიონში და ითხოვს, რომ გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესმა კომისარიატმა შეამოწმოს ეს ციფრები. თავის მხრივ, სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ბორის ჩოჩიევი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ჩაითვალონ ლტოლვილებად ის ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ ლენინგორის რაიონში (ახალგორისა – ქართულად, ტექსტში ასეა – რედ.ძ, სადაც შევიდნენ ოსები 2008 წლის აგვისტოში. როგორც სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ამტკიცებს, ეს ქართველები თავისუფლად გადადიან საზღვარზე საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, აქვთ საცხოვრებელი ორივე ქვეყანაში და სარგებლობენ გადაადგილებულ პირთათვის დაწესებული შეღავათებით, რომელსაც საქართველო აძლევს მათ საერთაშორისო დახმარების წყალობით. ჩოჩიევის თანახმად, „18-დან 20 ათასამდე კაცი ყოველთვიურად გადადის საზღვარზე ლენინგორში".

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებს ჟენევაში სურთ მიაღწიონ იმას, რომ საქართველომ იკისროს იურიდიული ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ. მაგრამ საქართველო მზადაა, განიხილოს მსგავსი დოკუმენტისთვის ხელმოწერის შესაძლებლობა მხოლოდ რუსეთთან და არა სეპარატისტებთან დამოკიდებულებაში.

EL PAIS

## დედამიწის ზურგზე



**ბრიტანელმა მეცნიერებმა გახსნეს თვითმფრინავში უგემოვნო საკვების საიდუმლო**

მოხალისეებმა, რომლებსაც თვალები აუხვიეს, შეაფასეს მათთვის მიწოდებული საკვების სახეობა გემოს, მარილისა და სიმყარის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავში საფონო ხმაურის გამო მარილიანი გვეჩვენება მტკნარად, ტკბილი – არც ისე გემრიელად და მთლიანად საკვები თითქოს ერთგვარად უფრო მაგარია.

* * *

**ბელარუსის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბრალი დასდო ლუკაშენკოს მთავარ ოპონენტს კანონის დარღვევაში**



როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, დადგინდა ვლადიმირ ნეკლიაევის საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის მრავალრიცხოვანი ფაქტი, კერძოდ – საინიციატივო ჯგუფის წევრის მოწმობის გადაცემა სხვა პირისთვის, სააგიტაციო პროდუქციის საკმარისი გავრცელება და ფურცლების დამზადება ბელარუსის ფარგლებს გარეთ. ნეკლიაევის შტაბში ყველა ბრალდება უარყვეს.

* * *

**ჩინეთში ვეფხვმა ვოლიერში ჩავარდნილი მებაღე დაგლიჯა**



54 წლის მებაღე მტაცებლების ვოლიერის თავზე დაკიდებულ ხიდზე გადადიოდა. ზოოპარკის ვერც თანამშრომლებმა, ვერც ინციდენტის ადგილზე მოსულმა ექიმებმა ვერ მოასწრეს მებაღის გადარჩენა. მამაკაცი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

* * *

**აშშ-ში აფთიაქების უდიდესი ქსელი დააჯარიმეს რეკორდული თანხით ნარკოტიკების მიმოქცევისთვის**




2007-2008 წლებში ეს ქსელი შეუზღუდავად ყიდდა ბრონქული დაავადებების წამლებს ფსევდოეფედრინის სახით, საიდანაც კუსტარულ პირობებში ამზადებდნენ ნარკოტიკ მეტამფეტამინს. ამან გამოიწვია ნარკოტიკების ბრუნვის მკვეთრი ზრდა კალიფორნიაში, ნევადაში, არიზონაში, ჯორჯიაში, სამხრეთ კაროლინასა და კიდევ ოც შტატში.

* * *

**პერუში ავტობუსი ხრამიდან მდინარეში გადავარდა: დაიღუპა 10 მგზავრი**

მანქანამ მართვა დაკარგა ერთ-ერთ მოსახვევში. ხრამის სიმაღლე 180 მეტრს შეადგენდა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზს იკვლევენ სპეციალისტები. გასულ შაბათს ამავე დეპარტამენტში დაიმსხვრა სხვა სამგზავრო ავტობუსი, რამაც 16 მგზავრის დაღუპვა გამოიწვია.

№ 193. შაბათი, 16 ოქტომბერი, 2010 წელი.

ნობელი — 2010

**გავიხსენოთ: უკვდავებისა და გვარიანი ფულადი ჯილდოს მომტანი ნობელის პრემია ექვსი ნომინაციით მიენიჭება: ფიზიკა, ქიმია, მედიცინა და ფიზიოლოგია (ერთად!), ეკონომიკა, ლიტერატურა და მშვიდობა.**

წლევანდელ რჩეულ ორ ფიზიკოსს ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო („სრ“, 9 ოქტომბერი). ამ პუბლიკაციაში ყველა დანარჩენ რჩეულს მოვუყარეთ თავი.

იშვიათზე იშვიათი შემთხვევაა, როცა ნობელის პრემიას პატიმარს არგუნებენ. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშვიდობის ან ლიტერატურის ნომინაციებში — ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, მედიკოსებს, ფიზიოლოგებსა თუ ეკონომისტებს დასაჭერი არცრა სჭირთ...

2010-ის მშვიდობის პრემია ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა (ოსლო) ჩინელ დისიდენტს **ლიუ სიაობოს** მიანიჭა, „ჩინეთში ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისათვის ხანგრძლივი ძალდაუტანებელი ბრძოლისთვის“. ამჟამად ახლადგამომცხვარი ნობელიანტი 11-წლიანი პატიმრობის ვადას იხდის მშობლიური ქვეყნის ერთ-ერთ სატუსაღოში — „სოციალისტური წყობილების დასამხობად მიმართული საქმიანობისთვის“.

ეს ვადა კი შარშან დეკემბერში მიესაჯა. 2008 წლის სიაობომ სხვა თანამოაზრეებთან ერთად დაწერა მანიფესტი, რომლითაც ხელისუფლებას მოუწოდა ქვეყანაში მრავალპარტიულობის შემოღება და სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა. სწორედ ამ მანიფესტს მოჰყვა 54 წლის თავისუფლებისთვის მებრძოლის მიმართ ბრალდების წაყენება — ბოლო ხანებში ისეთი სააგიტაციო ქმედებების ორგანიზება, რომლებიც მიმართული არიან სახელმწიფო ხელისუფლების რღვევისა და სოციალისტური წყობილების მოსპობისაკენ.

ნობელის კომიტეტმა ტურბერნ იაგლანდის თავმჯდომარეობით ერთხმად დაუჭირა მხარი „ჩინელი სახაროვის“ (როგორც ზოგჯერ სიაობოს მოიხსენიებენ) კანდიდატურას. რა დასამალია და, უყვართ ამ სოლიდური სტრუქტურის წევრებს პოლიტიკასთან შეთამაშება...

ისე ჩანს, რომ მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ვერ შეძლებს ვერც სათანადო ცერემონიაზე გამოჩენას და ვერც სოლიდური ფულადი პრიზის მიღებას. ეგ კი არა, საკითხავია, შეიტყობს თუ არა ამ სასიხარულო ამბავს, რამდენადაც აკრძალული აქვს ახალი ამბების ყურებაცა და კითხვაც და მეუღლესთან შეხვედრისას მსოფლიო მოვლენების გარჩევა...

სიაობოსათვის პრემიის მიკუთვნება საერთაშორისო სკანდალის საფრთხეს ქმნის. ჩინეთის ხელისუფალნი აღშფოთებულნი არიან ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, რადგან ნომინაციის გამოცხადებისთანავე აფრთხილებდნენ მას, რომ ამგვარი დაჯილდოება ეწინააღმდეგება ნობელის პრინციპებს, რომ კომიტეტი უსწორო სიგნალს გაუგზავნის მსოფლიოს, თუ პრემიას დამნაშავეზე გასცემს, რომ სიაობო სასჯელს იხდის ჩინეთის კანონების სრული შესაბამისობით, რომ ჩინეთი მტკიცედ ემხრობა სიტყვის თავისუფლების დაცვას, ოღონდ ამ თავისუფლებით სარგებლობა აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში...



პიტერ დაიმონდი



დეილ მორტენსონი



ქრისტოფერ პისარიდესი

ლიტერატურაში ნობელის პრემია წილად ხვდა პერუელ პროზაიკოსს **მარიო ვარგას ლიოსას** „ძალაუფლების სტრუქტურის ანალიზისა და ინდივიდის წინააღმდეგობის, აჯანყებისა და დამარცხების ნათელი სახეებისათვის“.

ამგვარი პრემია ასე მორგებულად ყოველთვის როდი მიუნიჭებიათ, როგორც ამ ჯერზე. ლიოსა მარტო ღირსეული ლაურეატი კი არა, საუცხოო მწერალიც გახლავთ. გარდა ამისა, ისეთი თვისებებითაცაა აღჭურვილი, ბევრი მწერალი და მოაზროვნე რომ ვერ დაიკვეხნის. 74 წლის პერუელმა კალმოსანმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თითქმის ყველა ჟანრში, თანაც აღტაცებას იწვევს არა მხოლოდ მის ნაწარმოებთა ენა.

თავისუფლების გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ლიოსამ, რომლის კანდიდატურას ლიტერატურაში ნობელის პრემიის მოსაპოვებლად მრავალი წლის სიგრძეზე წამოაყენებდნენ, ბოლოს და ბოლოს მიიღო ჯილდო. მწერლის შემოქმედებაში მთავარი გზავნილი ხომ მოწოდება იყო — დამოუკიდებლად აზროვნებას ნუ შეუშინდებითო. ლიოსასთვის ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიკუთვნება კეთილი სიგნალია ყველასთვის, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა რაიმეს შეცვლის შესაძლებლობისა საამისოდ მტკიცე ნებისყოფის ქონისას.

საყურადღებოა, რომ ნომინანტთა ნუსხაში შედიოდნენ რუსეთელი პოეტებიც — ბელა ახმადულინა და ევგენი ევტუშენკო, მაგრამ ბევრი ამბობდა, რომ გამარჯვება ევროპული ქვეყნის პოეტს ან პროზაიკოსს კი არ დარჩება, არამედ ესპანური ლიტერატურის წარმომადგენელსო.



რიჩარდ ჰეკი



ეიჩი ნეგიში



აკირა სუზუკი

ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება ლიოსას თაობაზე მოსალოდნელად ითვლებოდა. მრავალი წელი მოჰყავდათ მისი სახელი შესაძლო ლაურეატთა რიცხვში და ყოველწლიურად იხსენებდნენ. ეგ იმიტომ, რომ მარიო ვარგას ლიოსა ცოცხალი კლასიკოსია და კიდევ იმიტომ, რომ კლასიკოსად 1970-იან წლებში იქცა სრულიად ახალგაზრდა კაცი; კიდევ და კიდევ იმიტომ, რომ მესამე და მეოთხე რომანი გამოაქვეყნა ძლივს 30 წლისამ; უკვე მაშინ მასზე უზარმაზარ გამოკვლევებს წერდნენ, მას უნივერსიტეტებში შეისწავლიდნენ.

# „ვარსკვლავთცვენა“ სტოკჰოლმსა და ოსლოში

ლიოსამ იმ დროს, შეძლო გარღვევის მოხდენა დიდ ლიტერატურაში, თუმცა ამ კუთხით ერთადერთი არ ყოფილა. გამრღვევის როლში აღმოჩნდა ახლო მეგობარი გაბრიელ გარსია მარკესი, რომელიც ნობელიანტი უფრო ადრეც გახდა. ცნობილია ამბავი, თუ როგორ სტკიცა ლიოსამ სახეში ახლო მეგობარს მარკესს, რის მერეც ისინი უბრად იყვნენ 30 წელი და ახლაც არ ელაპარაკებიან ერთმანეთს; არავინ იცის, ეს რატომ მოხდა; გასაკვირი ისიცაა, რომ წაჩხუბებამდე ლიოსამ გიგანტური წიგნი დაწერა მარკესზე, რომელსაც, როგორც მწერალს, უზომოდ სცემდა პატივს.



რობერტ ედვარდსი

მარკესი მარკესად, მაგრამ ლიოსა შესანიშნავი მწერალია, ერთობ თვითმყოფადი. ეს არის მწერალი პერუდან, პერუს სრული სიწმინდე და მთავარი კალმოსანი; როგორც **მარკესია** კოლუმბიის დროშა და **ბორხესი** — არგენტინისა.

დაწყებული 1960-იანი წლებიდან, ლიოსამ მრავალგზის შეიცვალა სტილიცა და პოლიტიკური შეხედულებებიც. ახალგაზრდობაში ფიდელ კასტროს უჭერდა მხარს, ამჟამად კი პრაქტიკულად მემარჯვენეებთან, კონსერვატორთა პოლიტიკასთან არის ახლოს; აქვე სათქმელად, 1990-ში პერუს პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, მაგრამ მწერლად უფრო პოპულარული აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკოსად...



მარიო ვარგას ლიოსა

რუსეთში ლიოსას ძალიან კარგად იცნობენ და ბევრსაც თარგმნიან. კერძოდ, ფართოდ ცნობილია მისი კლასიკური სადებიუტო რომანი „ქალაქი და ქოფაკები“, ისევე როგორც რომანი „მწვანე სახლი“ — შესანიშნავი წიგნები. აქამდეც მისი ახალი ნაწარმოებები აგრეთვე ითარგმნება და იკითხება კიდევაც.

ახლა, ალბათ, კიდევ უფრო აქტიურად დაიწყება ლიოსას — ნობელის პრემიის ლაურეატის გამოცემა. ის დიდებული ავტორია და არა რაღაც ძველმანი ან პოლიტკორექტული ჟესტი შვედეთისა მცირე ქვეყნების ლიტერატურის მიმართ. მან აბსოლუტურად დამსახურებულად მიიღო ჯილდო, რომელსაც ამდენი წელი ელოდა.

დასანანია, რომ ამ გიგანტური მწერლის შემოქმედებას საქართველოში ნაკლებად ვიცნობთ. ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი ჩინებული მთარგმნელები ახლა მაინც მიაპყრობენ ნობელიანტ ლიოსას ყურადღებასა და კალამს და თუნდაც რუსულიდან გამოაენებენ მხატვრული სიტყვის დიდოსტატის დიდებულ რომანებს...

ქიმიურ მეცნიერებას 3 ახალი ნობელიანტი ჰყავს: ამერიკელი **რიჩარდ ჰეკი,** იაპონელები **ეიჩი ნეგიში** და **აკირა სუზუკი** — ორგანულ სინთეზში პალადიუმის კატალიზატორების შექმნაში შესრულებული შრომებისათვის.

პალადიუმის ლითონის კატალიზატორები ხელს უწყობენ რეაქციების მიმდინარეობას ნახშირწყალბადებს შორის ახალი კავშირების წარმოსაქმნელად. საერთოდ, კატალიზატორი იმ არაერთი რეაქციის მრავალგზისი აჩქარების ხელშემწყობია, რომლებიც ფართოდ გამოიყენებიან ბევრი ორგანული ნივთიერების სინთეზისათვის. ეს ნივთიერებები კი, თავის მხრივ, გამოყენებას პოულობენ, მაგალითად, ელექტრონიკასა თუ სოფლის მეურნეობაში.

ლაურეატების სახელები შეერქვა უმნიშვნელოვანეს რეაქციებს, რომლებშიც პალადიუმის კატალიზატორია ამოქმედებული. მაგალითად, ჰეკისა ეწოდა ალკენებთან უჯერი ჰალოგენების შეერთების რეაქციას ძლიერი ფუძეების თანაობისას. სუზუკის რეაქცია კი გახლავთ რეაქცია არილ-და ვინილბორის მჟავებისა არილან ვინილ-ჰალოგენიდებთან.

ეიჩი ნეგიშის უთქვამს — თუმცა ზოგიერთი ნაცნობი სწორედ მე მიწინასწარმეტყველებდა, ერთ-ერთი ლაურეატი რომ გავხდებოდი, მაგრამ მაინც არ მოველოდი პრემიის გადმოცემასო; იქვე „დაუზუსტებია, რომ ამ უმაღლეს ჯილდოზე 50 წლის წინათ ოცნებობდა...

საგულისყუროა, რომ 3 ქიმიკოსის „განობელიანტება“ მეორენაირად აიხსნა: „ნახშირბადის ატომების შეერთების ახალი, უფრო ეფექტოვანი მეთოდების შემუშავებისათვის“...

ასევე 3 ლაურეატი გამოაცხადა კატეგორიაში „ეკონომიკა“ ნორვეგიის ნობელის ინსტიტუტმა ოსლოში. „შრომის ბაზრების ანალიზის მეთოდების გამოკვლევისათვის“ პრესტიჟული პრემია გადაეცათ ამერიკელებს **პიტერ დაიმონდს** მასაჩუსეტის უნივერსიტეტიდან, **დეილ მორტენსონს** ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტიდან და ბრიტანელ **ქრისტოფერ პისარიდესს** ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლიდან.

დაიმონდმა გააანალიზა ასეთი ბაზრების ფუძემდებლური ფაქტორები, მორტინსენმა და პისარიდესმა კი გააფართოვეს თეორია და შრომის ბაზარს მიუყენეს. თეორიის არსი ისაა, რომ მრავალ ბაზარზე გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთქმედებები ერთბაშად კი არ ხდება, არამედ გარკვეული დროითობით. კერძოდ, შრომის ბაზარზე სამუშაოს მიმცემი ეძებს თანამშრომლებს, მუშები კი თავისუფალ ვაკანსიებს ეძებენ.

ამასთან, ძიების პროცესი ორივე მხარისგან მოითხოვს დროსა და რესურსებს, რაც გარკვეულ „ხარვეზებს“ ქმნის ბაზარზე. იქ ვერ დაკმაყოფილდება მოთხოვნა ზოგიერთი მყიდველის მხრიდან იმ დროს, როცა ზოგიერთი გამყიდველი ვერ ახერხებს იმდენი საქონლის გაყიდვას, რამდენსაც ისურვებდნენ. ამრიგად, შრომის ბაზარზე ერთდროულად შეიძლება დამზერა უმუშევრობისაც და თავისუფალი ვაკანსიებისაც.

საგულისხმოა, რომ ერთმა უცხოურმა სააგენტომ, მეცნიერული შრომების ციტირებაზე დაყრდნობით რომ ყოველწლიურად აკეთებს პროგნოზს ნობელის პრემიის მფლობელებზე, დაიმონდი, მორტენსონი და პისარიდესი არ შეიყვანა პოტენციურ ლაურეატთა სიაში...

სხვათა შორის, ალფრედ ნობელის ანდერძში არ ყოფილა ნახსენები პრემია ეკონომიკაში (მით უფრო, ჩვენებურ „მდგრად განვითარებაში“...). ის დაწესდა გაცილებით გვიან, 1968 წელს, შვედეთის სახელმწიფო ბანკისაგან, მის 300 წლისთავთან დაკავშირებით. იქიდან დაწყებული, ბანკი ყოველწლიურად გადარიცხავს დასაჯილდოვებელ თანხას, ერთი ნობელის პრემიის ტოლს — 10 მილიონ შვედურ კრონს (დაახლოებით 1 მილიონი ევრო).

მედიცინასა და ფიზიოლოგიაში ნობელის პრემია დაიმსახურა ბრიტანელმა სწავლულმა **რობერტ ედვარდსმა,** ხელოვნური განაყოფიერების ტექნოლოგიის შემქმნელმა (ექსტრაკორპორალური განაყოფიერება — **ეკოგა**).

ედვარდსმა ადამიანთან განაყოფიერების გამოკვლევას 1960-იანი წლებიდან მოჰკიდა ხელი. 1968-ში მან შეძლო ლაბორატორიულ პირობებში ადამიანის კვერცხუჯრედის განაყოფიერება. მოგვიანებით მეცნიერმა კოლეგებთან ერთად სრულყო საშოდან კვერცხუჯრედის ამოღების ტექნოლოგია და თვით განაყოფიერების მეთოდიკა.

პირველი წარმატებები **ეკოგა** დიდ ბრიტანეთში ჩაატარეს **პატრიკ ქრისტოფერ სტეპტოუმა** და **რობერტ ედვარდსმა.** იმათი დახმარებით მოვლენილი პირველი „გოგონა სინჯარიდან“ ლუნა ჯოი ბრაუნი დაიბადა 1978 წლის 25 ივლისს.

ნობელის პრემიის წლევანდელ ლაურეატთა გამოცხადების ცერემონია მიმდინარეობდა სტოკჰოლმის კაროლინის უნივერსიტეტში. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საპრემიო თანხა შეადგენს 10 მილიონ შვედურ კრონს — ერთ მილიონ ევროზე ოდნავ მეტს, ანუ დაახლოებით მილიონნახევარ დოლარს. დაჯილდოების ცერემონია კი, ტრადიციისამებრ, 10 დეკემბერს გაიმართება სტოკჰოლმში — ალფრედ ნობელის დაბადების დღეს.

**თამაზ ეზანოიძე**

ქართული ჭიდაობა

# სვეტიცხოვლობაზე მცხეთელებმა იყოჩაღეს



**მცხეთაში დიდი ზეიმით აღინიშნა სვეტიცხოვლის განახლების მე-1000 წლისთავი, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. დღესასწაული სპორტულმა ღონისძიებებმაც დაამშვენა.** განსაკუთრებით ქართული ჭიდაობა გამოირჩა. დარბაზში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. პირველობისთვის (საპრიზო ფონდი 10 ათასი ლარი) 8 გუნდი იბრძოდა. ყველას მასპინძლებმა, მცხეთელებმა (ბეთქილ შუკვანი, ამბაკო ავალიანი, ხვიჩა ხუციშვილი, გიორგი ცოციაშვილი, მირიან პავლიაშვილი, ალექსი დავითაშვილი) აჯობეს. ფინალში მათ კახეთის წარმომადგენლები დაჯაბნეს 5:0 და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილზე გორელთა მძლეველი (3:2) კასპელები გავიდნენ.

მომდევნო დიდ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში 23 ოქტომბერს ჭიათურა უმასპინძლებს, სადაც გურამ მოდებაძის თასი გათამაშდება.

**გივი გაგუა**

**სურათზე: მცხეთის გუნდი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჭადრაკი

# „სამაია“ – ევროპაში



ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი ხვალიდან ევროპის საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც კონტინენტის საუკეთესო მოჭადრაკეები იასპარეზებენ. მედლებისთვის მებრძოლთა შორის იქნება თბილისური „სამაია“, რომელსაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აფინანსებს. გუშინ ჩვენს ქალთა გუნდს (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი) სეოკ-ში საზეიმო გაცილება მოუწყვეს. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ „სამაიამ“ შარშან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და წლეულსაც ჯილდოებისთვის იბრძოლებს.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: მარცხნიდან – ბელა ხოტენაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ხვიჩა სუპატაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კრიმინალი

# ბოდიში უშველის?

**სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ იერემიჩმა ოფიციალურად მოუბოდიშა თავის იტალიელ კოლეგას ფრანკო ფრატინის თანამემამულე ფანატიკოს „გულშემატკივართა“ ვანდალური საქციელის გამო ჩაშლილი ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევი მატჩისთვის.**



ბოდიში ბოდიშად, მაგრამ საკითხავია, რა აღადგენს ბალკანური სახელმწიფოს შელახულ საერთაშორისო იმიჯს, რომელიც ევროსაბჭოში შესასვლელად ემზადება.

შეგახსენებთ, რომ გენუის „მარასის“ სტადიონზე არეულობის პროვოცირება სტუმართა 1300-მა ქომაგმა მოახდინა, ხოლო მინდორზე პეტარდების სროლას იქაურ პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. აღარაფერს ვამბობთ იმ კურიოზულ ფაქტზე, რასაც წინასწარ მომარაგებული ბრტყელტუჩებით (!) დამცავი ბადის დაჭრა ჰქვია. შედეგად 16 პიროვნება დაშავდა, მათ შორის ორი – ადგილობრივი სამართალდამცავი, ჩვიდმეტი სერბი დაკავებულია, დანარჩენები კი იტალიიდან გააძევეს.

საინტერესოა, რომ სტუმართა ასეთ აგრესიას ბევრნი მათი საყვარელი გუნდის წინა შესარჩევ შეხვედრაში ესტონეთთან დამარცხებას უკავშირებენ. ვერაფერს იტყვი – მართლაც რომ ორიგინალური ვენდეტაა.

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ყველაფერი საკმაოდ სერიოზულად, მათ შორის ბალკანელთა საერთაშორისო ტურნირებიდან ხანგრძლივი მოკვეთით დასრულდეს.

**ცნობისთვის: ბევრ რამეს, ალბათ, უეფას ქართველი დელეგატის დავით პეტრიაშვილის პატაკი გადაწყვეტს.**

64 უჯრა

# ფართო ასორტიმენტით

ვილიამსი 1917



შამათი 2 სვლაში

სარკისებური გამოსახულების მეშვეობით

1. ლd6 – მვd8
2. ლb8 X

შინკმანი 1938



შამათი 3 სვლაში

პოზიციური თამაშის უგულებელყოფით

1. მa8 – მვd6
2. მვd4 – მვc6
3. ლd5X

მოამზადა თამაზ შენგელიამ

სკანდალი

# საჯარიმოებით ჩინეთი

**ჩინეთის ვაჟთა ნაკრები აზიური თამაშების მთავარ ფავორიტად ითვლება, რომელიც ნოემბერში გაიმართება. სწორედ დამდეგი კონტინენტური ფორუმისადმი სამზადისს მიეძღვნა ცისქვეშეთელთა და ბრაზილიელთა ამხანაგური მატჩი, თუმცა მას ძნელია ამხანაგური უწოდო – იგი მე-2(!) წუთზე შეწყდა.**



ამ ეპიზოდში ერთ-ერთი თანამემამულის ტრავმით გამძვინვარებული ჩინელთა სამწვრთნელო შტაბის რიგითი წევრი მსაჯთა კოლეგიასთან მიიჭრა და დებოში ატეხა, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი დააშოშმინეს და თამაში განახლდა, მასპინძლებმა შეგნებულად იუხეშეს ბრაზილიელის წინააღმდეგ. მონასტერიც ამ დროს აირია, სარბიელზე გაჩაღებულ გუნდურ ჩხუბში კი აზიელთა გიგანტებმა პირწმინდად დაჩაგრეს სტუმრები.

მომხდარით აღშფოთებულმა ჩინეთის კალათბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლი ცზინშენმა ოფიციალურად მოუბოდიშა სამხრეთამერიკელებს, მათ თანმხლებ ქომაგებსა და ჟურნალისტებს, საკუთარი ნაკრების ბუნტისთავი წარმომადგენლები კი დისკვალიფიკაციით დასაჯა და ერთი თვით ვარჯიშებიდან მოკვეთა.

ინტერნეტიდან

## ეკოლოგიური საფრთხე




**ფეხბურთელთა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატი ჩაშლის პირასაა.**

**როგორც მოგეხსენებათ, მომავალი ფორუმის რამდენიმე მატჩი ლვოვში უნდა გაიმართოს, უკრაინის გარემოს დაცვის სამინისტრომ კი ამ დღეებში გაავრცელა განცხადება, რომელშიც საუბარია აღნიშნული რეგიონისადმი დამუქრებულ შესაძლო ეკოლოგიურ კატასტროფაზე.**

კონკრეტულად, იგულისხმება სააქციო საზოგადოება „ლვოვის ნავთობისა და ზეთის კვლევითი ქარხანა“, რომელიც უკვე 30 წელიწადია თავისი ტექნოლოგიური ნარჩენებით აბინძურებს კარპატული ოლქის წყლის რეზერვუარებს. საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ იგი პირად კონტროლზე დასახელებული უწყების თავკაცმა ნიკოლოზ ზლოჩევსკიმ აიყვანა.

რაც შეეხება შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალს, ასეთად იქაურ ჩინოვნიკებს რეზერვუარების ეკოლოგიური ექსპერტიზის დაწყება მიაჩნიათ, რომელიც საშუალებას მისცემს სპეციალისტებს, გაარკვიონ, რომელი ტექნოლოგიური პროცესებით მოახდინონ საფრთხის ლიკვიდაცია. საამისოდ ქარხნის სიახლოვეს, გუდრონის ტბების ტერიტორიაზე სასწრაფოდ უნდა მოეწყოს შესაბამისი ობიექტი, სადაც პროფესიონალები შეუდგებიან მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას.



## სტადიონიდან – მაღაროში

**ორთვიანი ოდისეა, რომელსაც მთელი მსოფლიო გულისფანცქალით ადევნებდა თვალყურს, დასრულებულია – ჩილის მაღარო კოპიაპოს სიღრმეში ბლოკირებული ოცდაცამეტივე მუშა სპეცოპერაციით გადაარჩინეს და მიწისზემოთ ამოიყვანეს.**

მათ შორისაა ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ყოფილი წევრი ფრანკლინ ლობოსი, რომელსაც ყუმბარისებური საჯარიმო დარტყმების შესრულების გამო „ჯადოსნური ქვემეხი“ შეარქვეს.

მისი თხუთმეტწლიანი კარიერა „ატაკამაში“ დაიწყო და იქვე დასრულდა, შუალედში კი შვიდი კლუბის გამოცვლა მოასწრო.

მას შემდეგ, რაც მოთამაშის ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, ლობოსი ჯერ ტაქსისტობდა, ხოლო შემდეგ იმ საბედისწერო მაღაროში მოეწყო მძღოლად.

## რატომაც არა!

**„რომას“ ვეტერანი ლიდერის ფრანჩესკო ტოტის თვალხატულა მეუღლემ ილარი ბლაზიმ არ გამორიცხა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ვარსკვლავურ წყვილს ერთად გადაიღებენ სიტკომში (კომედიური რადიო და ტელეპროგრამებისნაირსახეობაა).**

„რატომაც არა! ეს ხომ დიდებული იდეა იქნება“, – ამბობს ქმარზე უსაზღვროდ შეყვარებული მოდელი.



## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყურებთ შაბათს, კვირას.

**16 ოქტომბერი, ორშაბათი**

I არხი
12.15 მხ. ფილმი „დამიბრუნდი“
14.00 სპექტაკლი „შენსკენ სავალი გზები“
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
22.00 სერიალი
23.00 სერიალი
00.00 მხ. ფილმი „საიდუმლო ფანჯარა“
02.10 მხ. ფილმი „უნაკლო“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „პიტერ პენი“
22.30 კონცერტი: გურამ საღარაძის შემოქმედებითი საღამო.
00.40 მხ. ფილმი „ასი ნაბიჯი“



რუსთავი-2
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „კაქტუსი“
15.50 მხ. ფილმი „ნინო“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ“
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე“
23.00 სერიალი „დეტექტივები“
00.00 მხ. ფილმი „გასართობი თამაშები“
02.20 მხ. ფილმი „ღამე მავქულის ბარში“

მზე
13.50 სერიალი „ძახილი“
14.50 სერიალი „ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია“
15.40 სერიალი „ველური მთვარე“
16.30 მხ. ფილმი
18.40 სერიალი „ჩემი შეყვარებული“
20.00 ფეხბურთი
22.00 სერალი „მარია ემილია“
22.45 ფეხბურთი
00.10 მხ. ფილმი.

იმედი
09.15 მხ. ფილმი „მეფე არტური“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00 სერიალი „შუა ქალაქში“
13.00 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით
18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული“
22.00 სერიალი „შუა ქალაქში“
23.00 სერიალი „ციხე ოზი“
00.00 მხ. ფილმი „ტერმინატორი 3“ (სუბტიტრებითძ
02.10 სერიალი „გაქცევა 4“
03.00 მხ. ფილმი „ნადირობა“
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
13.15, 19.30 სერიალი „ლინდა და ბრიგადირები“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
18.50 მხ. ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე“
23.20 მხ. ფილმი „ლესი“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა“
19.40 მხ. ფილმი „უდიპლომო სასიძო“
00.45 მხ. ფილმი „ო, რა ტკბილია განშორების ეს ტკბილი სევდა!“

საქართველო
10.55 სერიალი „აივენგო“
11.55 მხ. ფილმი „ტრანსპორტერები“
16.20 მხ. ფილმი „შეშლილთა კუნძული“
18.50 მხ. ფილმი „ფორსაჟი“
20.40 მხ. ფილმი „ზამთარი ომში“
22.30 მხ. ფილმი „დამოუკიდებლობის დღე“
01.00 მხ. ფილმი „შოტლანდიის უკანასკნელი მეფე“

რეგიონი — TV
12.25 მხ. ფილმი „ცენტურიონი“
13.00 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ ყმაწვილი ათ დღეში“
14.50 მხ. ფილმი „დაუოკებელნი“
16.30 მხ. ფილმი „სპაიდერვიკი. ქრონიკები“
18.10 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი“
20.40 მხ. ფილმი „ჩემი საუკეთესო საყვარელი“
22.45 მხ. ფილმი „ეშმაკი პრადას ატარებს“
00.55 მხ. ფილმი „დიდი ჯარისკაცი“.

**17 ოქტომბერი, კვირა**

I არხი
12.15 მხ. ფილმი „გაათავისუფლე ვილი“
17.30 ქართ. ფილმი
23.30 მხ. ფილმი „გრძნობით შეპყრობილნი“
01.50 მხ. ფილმი „ჯონ ქიუ“

II არხი
22.00 კონცერტი — ავერ ბირონი
00.05 მხ. ფილმი „საიდუმლო ფანჯარა“

„რუსთავი-2“
13.30 მხ. ფიმლი „ათი კანოე“
15.20 სერიალი „კაპრი“
22.00 სერიალი „ბიზნესი მაღალ ქუსლებზე“
23.00 მხ. ფილმი „აშკარა და უშუალო საფრთხე“
01.20 მხ. ფილმი „ბორიელების მეფე“

მზე
14.30 ფეხბურთი
17.00 ფეხბურთი
19.00 მხ. ფილმი
21.00 ფეხბურთი
23.00 ფეხბურთი

იმედი
12.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00 სერიალი „ლოზას საიდუმლო“
15.00 მხ. ფილმი „გასეირნება თბილისში“
18.30 სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
21.00 სტუმრად იუმორინასთან
22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
00.00 სერიალი „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „ნამდვილი მაკკოი“ (სუბტიტრებითძ
03.05 სერიალი „გაქცევა 4“
04.00 მხ. ფილმი „ლომის გული“ (სუბტიტრებითძ
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი“

აჭარა
09.30 სერიალი „მეგობრები“
12.40, 21.00 სერიალი „პადრე კორახე“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.20 ქართული ფილმი
23.20 მხ. ფილმი „სიტყვათა თამაში“

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „უდიპლომო სასიძო“
19.30 მხ. ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე“
00.45 მხ. ფილმი „ერთი ცის ქვეშ“

საქართველო
10.55 სერიალი „;აივენგო“
11.55 მხ. ფილმი „ტრანსპორტერები 2: დაცემულის შურისძიება“
14.50 მხ. ფილმი „პელჰემ 1 2 3“
16.45 მხ. ფილმი „ილიას წიგნი“
18.35 სერიალი „იმპერია“
18.50 მხ. ფილმი „ფორსაჟი 2“
20.40 მხ. ფილმი „ტიტანების ბრძოლა“
22.30 მხ. ფილმი „მუმიის დაბრუნება“
00.45 მხ. ფილმი „ლამაზი სოფელი ლამაზად იწვის“

რეგიონი — TV
12.00 მხ. ფილმი „სულელთა ოქრო“
13.00 მხ. ფილმი „მოხსნის წესები: ჰიტჩის მეთოდი“
14.50 მხ. ფილმი „ჩარლი ჩაპლინი“
17.15 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი“
21.10 მხ. ფილმი „ერთხელ რომში“
22.40 მხ. ფილმი „შემთხვევითი ქმარი“
00.30 მხ. ფილმი მისია შეუსრულებელია“

ხსოვნა

# ლეილა ჩოხელი



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მხატვარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და უაღრესად მოსიყვარულე ადამიანი ლეილა ჩოხელი.

ლეილა ჩოხელი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სილამაზის განსაკუთრებული აღქმით. იგი დიდი ნიჭით, უაღრესად დახვეწილი გემოვნებით იყო დაჯილდოებული. მისი ხელოვნება არნახულად მრავალფეროვანია.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგონამ შეისწავლა მსოფლიო ხელოვნების არაერთი უნიკალური ნიმუში და დაეწაფა მსოფლიო ხელოვნების საგანძურს. მას განსაკუთრებით იაპონური ხელოვნება იტაცებდა. მისი ფაქიზი ხედვა და ფერის და ხაზის დიდი განცდა აახლოებდა უნიკალურ იაპონურ ფენომენთან. დიდ ხელოვნებასთან არაერთგზის შეხებამ ადრიდანვე ჩამოუყალიბა ლეილას დახვეწილი გემოვნება. მაშინ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, იაპონიის ელჩმა იხილა მისი ხელნაკეთი, ელჩის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მან ეს ნამუშევარი აღიქვა იაპონური ხელოვნების ულამაზეს ნიმუშად. აღტაცებულმა ელჩმა უმალვე მიიწვია იგი ტოკიოში თავისი პერსონალური გამოფენით. სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდის „დიპლომატიამ“ ლეილა ჩოხელს არ მისცა საშუალება იაპონიაში გამგზავრებისა. ამის მიუხედავად, იაპონურმა პრესამ ფართოდ გააშუქა მისი შემოქმედება და აღიარების ნიმუშად ტოკიოში მისი სურათებით დამშვენებული ჟურნალგაზეთები გამოსცა. ლეილა ჩოხელის ნიჭიერება გასაკვირველი არც იყო, რადგანაც ის გახლდათ შვილიშვილი ქართული დენდროლოგიის ფუძემდებლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის სოლომონ ქურდიანისა. ღვაწლმოსილი მეცნიერის ოჯახში მან მიიღო ჯეროვანი განათლება და იმ დიდი თაობის დიდი კულტურის და პატრიოტიზმის პირველი გაკვეთილები.

ტრაგიკული იყო ლეილა ჩოხელის ბავშვობა, რადგან დიდი სოლომონ ქურდიანი 1937 წლის ავბედით რეპრესიებს შეეწირა. მისი ბებია ბარბარე ციმბირში გადაასახლეს. სახელოვანი ქართული ოჯახის ნგრევა მან მძიმედ განიცადა. მიუხედავად ესოდენი განსაცდელისა მაინც მოახერხა იმედის შენარჩუნება, დაეწაფა სწავლას და... ერის სამსახურში ჩადგა. ქალბატონ ლეილას ნიჭი გასცდა მხატვრობის ფარგლებსაც. იგი იყო უნიჭიერესი მუსიკოსი, პოეტი და რაც ყველაზე მთავარია, უკეთილშობილესი და მოსიყვარულე პიროვნება. მორწმუნე ოჯახში აღზრდილი ყოველთვის ინახავდა გულში უფლის სიყვარულს, მართლმადიდებელი ეკლესიის სასოებას და ერთგულად ახორციელებდა ქრისტეს მცნებებს. ქალბატონი ლეილა განსაკუთრებული მოწყალებით და გულუხვობით გამოირჩეოდა.

აკადემიური განათლების მიღების შემდეგ მან ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი და სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარჩინებით დაასრულა. ის ჩაება დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობაში და პარალელურად იღებდა მონაწილეობას არაერთ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენაში. იგი ასწავლიდა საბავშვო სამხატვრო სკოლაში, ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ყველაზე კარგად მეტყველებს მრავალრიცხოვან ნიჭიერ შემოქმედთა არმია, წლების განმავლობაში რომ აღუზარდა ერს. ის მარტო ხატვას არ ასწავლიდა სტუდენტებს, არამედ პატიოსნებას, ღირსებას და შრომისადმი პატივისცემას.

მადლიერმა სამშობლომ ლეილა ჩოხელს დამსახურებული მხატვრის და პედაგოგის წოდება მიანიჭა. ქალბატონი ლეილა ჩოხელი ქმნიდა სილამაზეს და უხვად გასცემდა თავის ნახელავს. მისი სამყარო იყო სიყვარულის და სილამაზის სინთეზი. მისი სითბო დღესაც ათბობს მრავალ ადამიანს.

ლეილას დიდი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრები დღეს არაერთ პირად კოლექციას ამშვენებს საქართველოში და მის საზღვარებს გარეთ. ბოლო წლებში მისმა ხელოვნებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მრავალმა ადამიანმა შეიყვარა ჩოხელის შემოქმედება.

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია, — ეს იყო ლეილა ჩოხელის ცხოვრების დევიზი... ისე მიაბარა სული უფალს, რომ ორთავ სამყაროში დატოვა კვალი ნათელი, როგორც დიდმა ხელოვანმა, დიდმა ადამიანმა და უაღრესად უბრალო, სიყვარულით აღსავსე მორწმუნემ.

დიდი ილიას ცნობილი სიტყვები ნამდვილად უპრიანია ახლა გავიხსენოთ: „დიაღ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვან ადამიანს, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილ ქვეყანას, რომ ადამიანმა მისი მიხედვით და მაგალითით შეიძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება“.

ჭეშმარიტად ასეთ სამაგალითო ადამიანს ვეთხოვებით დღეს.

ღმერთს ებარებოდეთ, საყვარელო ლელიკო.

მეგობრები —
შენი დიდი ნიჭის
თაყვანისმცემლები

---

ალექსანდრე კუჭუხიძე, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, თამაზ იმედაძე, ჯიმი მიქელაძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, თამაზ კუნჭულია, ვაჟა კვალიაშვილი, რომან კუჭუხიძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, თამაზ დანელია, პარმენ ლემონჯავა, რომან კიზირია, არჩილ ვაშაკიძე, დავით შარაშენიძე, ვასილ ცომაია, ლევან გვაზავა, გიორგი ხაზარაძე, გურამ გუნავა, ელენე ესაკია იზიარებენ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის
ირინე ნოეს ასულ ცომაიას
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

გივი აბზიანიძე, თამაზ იმედაძე, გურამ გუნავა, ზურაბ ანთაძე, ანრი მაჭარაშვილი, გაიოზ ნოზაძე მწუხარებაში თანაუგრძნობენ გიორგი და თეიმურაზ ხაზარაძეებს დის და ბრწყინვალე ქალბატონის
ელენე ხაზარაძის
გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის კომპანიები „ახალი ქსელების“, „ახტელის“, „სისტემნეტის“ და „ფოპტნეტის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გიორგი ოთარის ძე ბიწაძე
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

გურამ წერეთელი ოჯახით თანაუგრძნობს მწუხარებაში ბატონ მურთაზ ინწკირველს, ქალბატონ ლუარა ჩიგოგიძე-ინწკირველისას, ქალბატონ ნინო ინწკირველ-კალანდაძისას, ქალბატონ მარინე (მაკაძ ინწკირველს, ნუგზარ და სალომე კალანდაძეებს სიძის, მეუღლის, მამის, ბატონ
კახა ნუგზარის ძე კალანდაძის
გარდაცვალების გამო.

სხვა გაზეთიდან

# ფულის გულისთვის „ვარსკვლავის“ ცხედარი საფლავიდან ამოთხარეს

## ყალბი შვილების ომები

**მსოფლიოს ყველა დეტექტიური რომანის ნახევარი აგებულია ფაბულაზე — ბრძოლა მემკვიდრეობისთვის. სხვის ფულსა და სხვა სიმდიდრეს გამოდევნებული ხალხი კარგავს ადამიანის სახეს და მიდის ისეთ რამეზე, რასაც ადრე თავადვე უსათუოდ დაგმობდა.**

**თანამედროვე ისტორია, განსაკუთრებით „ვარსკვლავებთან“ დაკავშირებული ისტორია, მუდმივად გვიკარნახებს ასეთ სიუჟეტებს.**

### თავგადასავალი სიკვდილის შემდეგ

**სახელგანთქმული გროსმეისტერი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში და თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ადამიანი ბობი ფიშერი გარდაიცვალა 2008 წლის 17 იანვარს ისლანდიაში. და აი, შარშან გაჩაღდა სკანდალი.** ვიღაც ფილიპინელმა ქალმა მერლინ იანგმა მთელ მსოფლიოს განუცხადა, რომ მისი 9 წლის ჯინკა იანგი ბობი ფიშერის ქალიშვილია და მაშასადამე — გროსმეისტერის 2-მილიონიანი ქონების „პირველი რიგის“ მემკვიდრეა. თანაც ეს ფილიპინელი ისეთი დაბეჯითებით ამტკიცებდა ამას და მოჰყავდა ისეთი მყარი არგუმენტები, რომ მართლმსაჯულება იძულებული იყო წასულიყო უპრეცედენტო ნაბიჯზე — მოეხდინათ ბობი ფიშერის სხეულის ექსგუმაცია, რათა დნმ-ს ანალიზისთვის აეღოთ ის, რაც მისგან დარჩა. რასაკვირველია, მერდინი აღმოჩნდა ჩვეულებრივი შარლატანი, რომელმაც გადაწყვიტა მოეწესრიგებინა საფინანსო მდგომარეობა იმ ვითარების ხარჯზე, რომ ოდესღაც ეძინა ქალების მოყვარულ გროსმეისტერთან. დნმ-ს ექსპერტიზამ აჩვენა, რომ პატარა ჯინკას არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონია ბობი ფიშერთან.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც სპეკულაციისა და სკანდალების ობიექტი ხდება მკვდარი სხეული „მეგავარსკვლავისა“, რომელიც ოდესღაც მთელს მსოფლიოში ბრწყინავდა. ამის კიდევ ერთი მაგალითია მუნჯი კინოს მეფის ჩარლი ჩაპლინის სხეულის მოპარვასთან დაკავშირებული კრიმინალური სკანდალი. ერთხელ შვეიცარიის პატარა ქალაქ ვევეს სასაფლაოს მცველმა აღმოაჩინა, რომ საფლავი ჩარლი ჩაპლინისა, რომელიც დაკრძალეს სულ ორი თვის წინათ, ამოთხრილია, მსახიობის კუბო ცხედრით კი გაქრა. იმავე საღამოს გამოჩნდნენ გამტაცებლებიც. უცნობებმა დაურეკეს ჩაპლინის ქვრივს და სხეულის დაბრუნებისთვის მოსთხოვეს 600 ათასი შვეიცარული ფრანკი. თვეზე მეტიხნის განმავლობაში აწარმოებდა პოლიცია სატელეფონო საუბარს გამტაცებლებთან და, ბოლოს და ბოლოს, დაადგინეს ტელეფონი, საიდანაც ისინი რეკავდნენ. ორი გამტაცებელი დააკავეს ლოზანაში და ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ მათ დაასახელეს ადგილი, სადაც დამარხეს ჩარლი ჩაპლინის ცხედარი. ეს იყო პურის ყანა ვევეს მახლობლად. ერთი სიტყვით, ჩაპლინის ცხედარი დააბრუნეს თავის საფლავში, გამტაცებლები გაასამართლეს, პურის ყანის მფლობელმა კი იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნით იყო დასაფლავებული დიდი მსახიობი, აღმართა მუხის ჯვარი, რომელიც ახლაც დგას.


ანა ნიკოლ სმიტი

### მიცვალებულთა შეტაკება

**საერთოდ, „ქორწინებისგარეშე შვილები“ შესაშური მუდმივობით უჩნდება პრაქტიკულად ყველას, ვინც კვალი დატოვა ცხოვრებაში, იქნება ეს პოლიტიკოსი, მუსიკოსი, სპორტსმენი თუ კინომსახიობი.** მაგალითად, ასეთი „ქორწინებისგარეშე ბავშვი“ გაუჩნდა ტეხასში მოკლულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონ კენედის. რამდენიმე წლის წინათ ვენაში გამოჩნდა ვინმე 87 წლის ლიზა ლანეტი, რომელმაც განაცხადა, რომ 1945 წელს ახლოს იყო ჯონ კენედისთან და ამ სიახლოვის შედეგად გაჩნდა ბიჭი ანტონიო. თუმცა საქმე საგაზეთო სენსაციას არ გასცილებია. არც ანტონიოს, არც დედამისს თავი არ გამოუდვიათ დნმ-ს ანალიზზე. ალბათ იმიტომ, რომ ლიზა ლანეტი საერთოდ „პროფესიული თვითმარქვიაა“ და ახლა ვენის ხელისუფლებას ატერორებს იმ მიზნით, რომ დაადასტუროს თავისი ნათესაობა ჰაბსბურგების სამეფო გვართან.

გააფთრებული, თითქმის ომამდე მისული დავები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით — საკმაოდ ხშირი მოვლენაა „ვარსკვლავების“ სამყაროში. ალბათ, ყველაზე სკანდალური და ყველაზე ბინძური ასეთი „ომი“ იყო ხანგრძლივი სასამართლო პროცესი ცნობილი ფოტომოდელის ანა ნიკოლ სმიტის... 18 თვის გოგონასა და 67 წლის ბიზნესმენ ევერეტ პირს მარშალს (ის ტეხასელი ნავთობის მაგნატის ჯეი ჰოვარდ მარშალის შვილია) შორის. ნიკოლ სმიტი მისთხოვდა ამ მულტმილიონერს, ამის შემდეგ კი მისი ქმარი გარდაიცვალა. ანა ნიკოლ სმიტმა დაიწყო გააფთრებული ბრძოლა მაგნატის 200 მილიონი დოლარისთვის ქმრის შვილ ევერტთან. და „ვარსკვლავმა“ გაიმარჯვა... მაგრამ უკვე თავისი გარდაცვალების შემდეგ — 2007 წელს იგი ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის გამო გარდაიცვალა. ქონება მიაკუთვნეს ანა ნიკოლ სმიტის 18 თვის გოგონას, რომელიც მას გაუჩნდა სრულიად არა მოხუცი მილიარდერისგან, არამედ საყვარლისგან. მაგრამ მიმდინარე წლის მარტში ბედი 180 გრადუსით შემოტრიალდა. კალიფორნიის შტატის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ ყველაფერი შეცვალა. პატარა უფულოდ დატოვეს, მილიონები კი მიიღო ევერტმა, რომელმაც ამ დროისთვის უკვე თავადაც მოასწრო გარდაცვალება.

დღემდე გრძელდება დაუნდობელი ჩხუბი მსოფლიო სიდიდის სხვა „ვარსკვლავის“, მსოფლიოს საუკეთესო ტენორის ლუჩანო პავაროტის მემკვიდრეობისთვის. თავად ის 2007 წელს გარდაიცვალა. მას დარჩა ქონება — 100 მილიონ დოლარზე მეტი — და ამისთვის ახლა ერთმანეთს ებრძვიან მომღერლის ქალიშვილები პირველი ქორწინებიდან და მისი უკანასკნელი ცოლი, რომელსაც მცირეწლოვანი გოგონა ჰყავს. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად პავაროტიმ ყველაფერი უკანასკნელ ცოლს დაუტოვა, მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თითქოს შეცვალა ანდერძი უფროსი ქალიშვილების სასარგებლოდ, რომლებიც მას უვლიდნენ სიკვდილის წინ. ახლა მისი უკანასკნელი ცოლი ცდილობს სასამართლოში გაასაჩივროს მომღერლის უკანასკნელი ნება.

**დმიტრი გაშინი,**
**„მირ კრიმინალა“**

დღის კალენდარი

16 ოქტომბერი

ხსენება მღვდელმოწამეებისა: დიონისე არეოპაგელისა — ათენის პირველი ეპისკოპოსისა, რუსტიკე ხუცისა და ელეფთერ დიაკონისა (96ქ; ღირსი იოანე ქოზიბელისა — პალესტინის კესარიის ეპისკოპოსისა (VIქ; ნეტარი ისიხი ქორებელისა (VIქ.


ამოდის 06.14
ჩადის 17.19


ამოდის 14.05
ჩადის 23.31

## დაიბადნენ:

**1854 — ოსკარ უაილდი,** ინგლისელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი, გარდაიცვალა 1900 წელს.

**1896 — თამარ ჭავჭავაძე,** გამოჩენილი მსახიობი, გარდაიცვალა 1968 წელს.

**1927 — გიუნტერ გრასი,** გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

## გარდაიცვალნენ:

**1774 — რობერტ ფერგიუსონი,** შოტლანდიელი პოეტი, დაიბადა 1750 წელს.

**1793 — მარია ანტუანეტა,** საფრანგეთის დედოფალი, დაიბადა 1755 წელს.

**1959 — ჯორჯ მარშალი,** ამერიკელი გენერალი, 1947 წელს წამოაყენა ომისშემდგომი ევროპის ეკონომიკის აღდგენის პროგრამა — „მარშალის გეგმა“, რისთვისაც 1953 წელს მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

**1976 — ალიო მირცხულავა,** პოეტი, დაიბადა 1903 წელს.

## მოვლენები:

**1813 წელი** — დაიწყო „ხალხთა ომად“ წოდებული ლაიფციგის ბრძოლა.

**1923 წელი** — ძმებმა უოლტ და როი დისნეებმა მულტიპლიკაციური ფილმის საწარმოებლად პირველ კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

**1964 წელი** — ჩინეთმა ბირთვული იარაღი გამოსცადა.

**1978 წელი** — კრაკოვის არქიეპისკოპოსი კაროლ ვოიტილა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აირჩიეს იოანე პავლე მეორის სახელწოდებით. 1542 წლიდან პირველად რომის პაპად არაიტალიელი აირჩიეს.

მედიანიუსი

შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი) გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

აგარაკი ტაბახმელაში
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

კადრი



ანეკდოტები

**— ცოლთან ერთად მოვილოცე წმინდა ადგილები, თაყვანი ვეცი გამჩენს...**
**— მერე?**
**— არაფერი. არანაირი სასწაული არ მომხდარა. იმავე ცოლთან ერთად დავბრუნდი.**

* * *

**ფსიქიატრთან კლიენტი მივიდა. წამოწვა ტახტზე და... კრინტს არ ძრავს. ექიმი მოთმინებით ელოდება. ერთი საათის შემდეგ ის ტიპი ტახტიდან წამოდგა, 20 დოლარი დაუდო ექიმს მაგიდაზე და წავიდა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა...**



**ასეთი ერთკვირიანი სეანსების შემდეგ ფსიქიატრს ნერვებმა უმტყუნა:**
**— იქნებ მითხრათ, რა გაწუხებთ?**
**— ცოლი. ერთი წუთითაც არ აჩერებს ენას. თქვენთან კი ისე კარგია, ისეთი სიწყნარეა...**

* * *

**აფთიაქში გაუპარსავი, გაზინთულტანსაცმლიანი ახალგაზრდა კაცი ფარმაცევტ გოგონას ეკითხება:**
**— თქვენთან განდონები არის?**
**— კი, ზოგჯერ შემოდიან ხოლმე...**

* * *

**მამაკაცისთვის პრობლემები მაშინ კი არ იწყება, როცა ქალი მისი ფულის გამო იხდის, არამედ მაშინ, როცა მისი ფულით ჩაცმას იწყებს.**

* * *

**— წარმოგიდგენია? მან მომთხოვა, დამემტკიცებინა მისთვის, რომ აქლემი არა ვარ.**
**— იმედია, დაუმტკიცე.**
**— მეტი საქმე არ მქონდა! უბრალოდ მივაფურთხე და წამოვედი.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.